რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 13 სექტემბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 12 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. სამხედრო-გარეშე ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ., მეოთხე გვერდზე—15 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოეტანოთ იქნას არა უგვიანეს დილის 11 სათ. საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 198. Редакция „Ертоба" [illegible] რედაქციით გამოგზავნილ [illegible] მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскiй проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 145 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 145

გულ დათუთქულნი: მეუღლე ტერეზა გიორგის ასული, შვილები: გუცია კოპლატაძისა, სოფია და სიმონ [illegible], გოგია (შუშანა), აპოლონ, იკობი, ნიკო, იოსები და ვასო ხაფთასები, რძლები: ლიდია ბეჟანის ასული და [illegible] ნანიკოს ასული ხაფთასებისა, შვილი შვილები: ლიუბა, ნადეჟდა, სევერიანე და ვალოდია უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. თფილისში, 10 ენკენისთვეს

გიგო ნიკოლოზის ძე ხაფთასი

რომლის გამოსვენება მოხდება 14 ენკენისთვეს დილით ხუთშაბათს, დილით 9 ს. და დაკრძალული იქნება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე წირვის გადახდის შემდეგ დილით 12 საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათ. ნაძალადევი, ხარკოვის ქუჩა № 21. 3—2

პური

იმ დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომლებიც თავიანთ საჭიროებისათვის თითონ აცხობენ პურს.

იმ მიზნით, რომ უფრო დაწვრილებით გამოირკვეს მეფურნეებზე მისაცემ ფქვილის რაოდენობა, აგრეთვე რაოდენობა ქალაქში დასახარჯ პურისა, ქალაქის სასურსათო კომიტეტი სთხოვს ყველა დაწესებულებებს, როგორც მაგ. საინტენდანტოს, საავადმყოფოებს, საზოგადო საცხოვრებელ ადგილებს, წითელ ჯვარს, ქალაქთა და ერობათა კავშირებს და სხვ., რომლებიც აცხობენ პურს კერძო საცხობებში თავიანთ საჭიროებისათვის, აცნობონ საჩქაროთ ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიუროში ცნობები, თუ რომელ ფურნეში ცხვება მათთვის პური და რამდენი ფუთი ფქვილი ეძლევა ფურნეს დღეში პურის გამოსაცხობათ.

5—3 **ქალაქის სასურსათო კომიტეტი.**

ქ. ლანჩხუთში

გაიხსნა მთავრობის სრულ-უფლებიანი

ვაჟების გიმნაზია

ახალი ტიპის (5 კლასიანი), სადაც მიიღებენ უმაღლეს-დაწყებით სასწავლებლის დამთავრებულს.

ვისაც ასეთი მოწმობა არ ექნება, იმათ მიიღებენ შესაფერ გამოცდების შემდეგ.

თხოვნები მიიღება 20 სექტემბრამდე. 3—2

პური

ის პირნი, რომელნიც ეკუთვნიან პროფესიათა იმ კატეგორიას, რომლისთვისაც სასურსათო კომიტეტისა და მუშ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის დადგენილებით გადაწყვეტილია პურის დამატებითი რაციონი, დამატებითი ბარათებს მიიღებენ ქალაქის სასურსათო კომიტეტისაგან. ამისათვის, ფაბრიკა-ქარხნებისა და სახელოსნოების ადმინისტრაცია, პროფესიონალური კავშირები და სხვა ორგანიზაციები, რომელთაც თავიანთი წევრთა და თანამშრომელთა რიცხვში ჰყავთ ისეთი პირები, რომლებიც ფიზიკურად შრომობენ, მოვალენი არიან წარმოადგინონ ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიუროში სიები მუშებისა, რომლებიც დაწესებულებებში და პროფ. კავშირებში ირიცხებიან, რომელშიაც ნაჩვენები უნდა იქნას, ხელობა რა უბანი, რომელშიაც მუშები სცხოვრობენ, თანვე უნდა წარმოდგენილ იქნას შაქრის ბარათები. მუშების სია უნდა დამოწმებულ იქნას პასუხის მგებელ პირის მიერ და დაწესებულების ბეჭდით.

ის პირნი, რომლებიც ფიზიკურად შრომობენ და არ შედიან პროფ. კავშირში და არ აქვთ მუდმივი სამუშაო ადგილი, დამატებითი ბარათებს მიიღებენ იმ **საუბნო სასურსათო კომიტეტებში,** რომელ უბანშიაც სცხოვრობენ.

(3—1) **ქალაქის სასურსათო კომიტეტი**

პარასკევს, 15 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე,

ქართული გიმნაზიის შენობაში დანიშნულია

ღარიბ მოწაფეთა შემწე თფ. გუბერნიის თავ.-აზნაურთა საზოგ. წევრთა

საგანგებო კრება

კრების საგანი: საკითხი გიმნაზიის ნივთიერი მდგომარეობისა და სწავლის ფულის მომატების შესახებ, მიმდინარე საქმეები და გამგე კომიტეტის წევრთა არჩევნები. ეს კრება, როგორც მეორეთ დანიშნული, კანონიერი იქნება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. 2—1

„მოსავალი" (урожай)

იხსნება ახალი მომხ. საზ., რომლის მიზანია გახსნას თფილისის ყველა რაიონში პურის საცხობები კვირის, შესდგება პირველი დამფუძნებელი კრება (ადგილი კრების ცალკე იქნება გამოცხადებული) წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგ ადგილებში: დ. კახელაძესთან ანნის ქ. № 9. ნ. ვიდორბინთან—ტრამვაის პარკი. რკინის გზის სახელოსნოში, ვ. ჯომარჯიძესთან ვაგონის ცეხში, ალ. კუდრიავცევთან—სბორნი ცეხი, ან. ქადაგიშვილთან, პ. ხურცილავასთან ლიტეინის ცეხი, გ. ჩიქოვანთან ტოკარნი ცეხი, გრ. ცინცაძესთან საქონლის სადგურზე. გ. ზუკაკიშვილთან „ალორძინება"-ში ვერის განყოფილებაში, ავლაბარში ამხ. „ალორძინებაში" ვ. კანტიძესთან ამიერ კავკასიის მომხ. საზ. კავშირში. ორთაჭალაში მ. შადინოვთან ნაძალადევში XI უბნის სასურსათო კომიტეტში.

დამფუძნებლები დ. კახელაძე და ლ. მარხაგოვი.

განცხადება.

თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა 25 აგვისტოს სხდომაზე დაადგინა დამტკიცებულ იქმნას მწვანილეულობაზე შემდეგი ნიხრი:

ახალი კომბოსტო 1 მან. 80 კაპ. ფუთი, ახალი ჭარხალი 2 მან. 50 კაპ. ფუთი. სტაფილო 3 მან. 70 კაპ. ფუთი, ხახვი 4 მან. 50 კაპ. ფუთი.

ეს დადგენილება ძალაში შედის დღიდან მის გაზეთში გამოცხადებისა.

თავმჯდომარე **დანდუროვი.**

ბინის დამქირავებელთა კავშირი

14 სექტემბერს დილის 11 საათზე, სახელოსნო კლუბში (მიხეილის პროსპ.) შესდგება

კავშირის წევრთა საზოგადო კრება.

დღის წესრიგი: 1) დროებითი გამგეობის ანგარიში, 2) არჩევა მუდმივი გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა და 3) მიმდინარე საქმეები. ხმის უფლებით სარგებლობს მხოლოდ კავშირის წევრი, რომელიც წარმოადგენს ბარათს საწევრო გადასახადის შესახებ. წევრები რომლებიც ჩაწერილი არიან და ბარათი არ მიუღიათ, მიიღებენ ასეთებს შესასვლელში, სადაც მოხდება ახალი წევრების ჩაწერა. (1—1)

ხუთშაბათს, 14 სექტემბერს, დილის 10 საათზე მესამე სამომრიგებლო განყოფილების შენობაში (ტურგენევის ქუჩ.) შესდგება რ. ს. დ. მ. პ. თბილისის ორგანიზაციის მეცხრე უბნის წევრთა

საერთო კრება.

დღიური წესრიგი: 1) პოლიტიკური მომენტი და მუშათა მილიციის შედგენა (მომხსენებელი ხელაძე). 2) სასურსათო კრიზისი (მომხსენებელი მ. რუხია), 3) კოლექტივის მოხსენება თავის მოქმედებაზე, 4) სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნები და 5) მიმდინარე საქმეები.

ს.-დ. საარჩევნო კომიტეტი 2 სამილიციო უბნისა, ხუთშაბათს, 14 სექტემბერს, საღამოს 8 საათზედ დანიშნულია

საერთო კრება

ყველა ს.-დ. პარტიის წევრთათვის, მცხოვრებთ 2 სამილიციო უბნისა. დღიური წესრიგი: 1) არჩევნები სარაიონო კომიტეტის წევრისა. 2) თანამედროვე კითხვები. კრება დანიშნულია ჭავჭავაძის ქუჩაზედ, № 9. ვთხოვთ ამხანაგებს ნუ დააგვიანებენ.

ექიმი გ. მ. მუხაძე

ქობულეთში გამგზავრების გამო შესწყვეტა ავადმყოფების მიღება ენკენისთვის ბოლომდის.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ექიმები:

დ. ვ. ჟორდანია და ა. ა. ერეციანი

იღებენ ავათმყოფებს შინაგან, ბავშვების, ავათმყოფობა სისხლისა, ქრონიკული მალარია, შარდის მილებისა (ქრონიკული ტრიპერი) სიფილისი და მისი შედეგები. წამლობა ერლიხის პრეპარატებით „914" და „616" შინაგანი ვენისა სქესობრივი სისუსტე და ელექტრონით წამლობა.

მიიღებენ ყოველ დღე, გარდა კვირა დღისა საღამოს 5—8 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 52 ბინა 1. (10—9)

ამხანაგებო და მოქალაქენო!

17 სექტემბერს დანიშნულია ქ. სამტრედიის თვითმართველობის არჩევნები. გამოცხადდით საარჩევნო ყუთებთან და მოიხადეთ თქვენი მოქალაქობრივი ვალი. ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სიას

№ 1

1) **კოპალეიშვილი ილია ივანეს ძე,** მუშა, სამტრედიის რაიონულ აღმასრულებელ და საც. დემოკრ. კომიტეტის თავმჯდომარე.

2) **პაპავა ვლადიმერ თათეოზის ძე,** ფილოლოგი, ქ. სამტრედიის აღმასრულებელ და სარევოლიუციო კომიტეტების თავმჯდომარე, სამტრედიის რაიონულ სარევოლიუციო სასამართლოს თავმჯდომარე და სამტრედიის რაიონის კომისარი.

3) **ახობაძე არსენა პეტრეს ძე,** მასწავლებელი, მდივანი რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტისა, პარტიული მომუშავე.

4) **კიკაბიძე ივანე გიორგის ძე,** მასწავლებელი, მდივანი რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტისა, პარტიული მომუშავე.

5) **დუნდუა გიორგი ივანეს ძე,** აგრონომი, მასწავლებელი ქუთაისის სასოფლო სამეურნეო სკოლის, წევრი და მდივანი ქ. სამტრედიის აღმასრულებელ კომიტეტის და ჟურნალისტ-კორესპონდენტი.

6) **ურუშაძე გრიგოლ ქრისტეფორეს ძე,** კასირი სადგურ სამტრედიის, ადგილობრივ რკინის გზის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე, წევრი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს და ქ. სამტრედიის აღმასრულებელ კომიტეტისა.

7) **მიქაძე რაჟდენ გიორგის ძე,** მასწავლებელი, წევრი კოოპერატივის გამგეობისა და პარტიული მომუშავე.

8) **მიქელაძე დავით მელქისედეკის ძე,** პარტიული მომუშავე.

9) **შენგელია ტიმოთე ბეჟანის ძე,** მემანქანე, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს და ქ. სამტრედიის რ. ს.-დ. მ. პ. კოლექტივის თავმჯდომარე და წევრი ადგილობრივ რკინის გზის, რაიონულ და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტების.

10) **ნინუა სერგო (სიმონ) გაბრიელის ძე,** ტეხნიკი (ჯარის კაცი) მდივანი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს, წევრი სამაზრო, ადგილობრივ რკინის გზის და როტის აღმასრულებელ კომიტეტებისა.

11) **ძიძელიძე რაფიელ გრიგორის ძე,** მემანქანე, კოოპერატიული გამგეობის და მუშ. და ჯარისკაცთა საბჭოს წევრი.

12) **შანიძე გიორგი ალექსის ძე,** ხელოსანი, პარტიული მომუშავე.

13) **ფრანგიშვილი ნინა ვასილის ასული,** მასწავლებელი, პარტიული მომუშავე.

14) **პაპავა ვერა თათეოზის ასული,** მასწავლებელი, პარტიული მომუშავე.

15) **ჯაში ილია ეგნატის ძე,** ექიმი.

16) **გოგოჭკორი სიმონ იორდანის ძე,** ვაჭარი პარტიული მომუშავე.

17) **ნინიძე [illegible] დავითის ძე,** ტელეგრაფისტი, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს, ადგილობრივ რკინის გზის აღმასრულებელ კომიტეტის და კოოპერატივის გამგეობის წევრი.

18) **ბერძენიშვილი მოსე გლახუას ძე,** ნოქარი, სამტრედიის აღმასრულებელ კომიტეტის წევრი და საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი.

19) **კალაძე თედორე ზაალიკას ძე,** ზეინკალი, ადგილობრივ კოოპერატიული გამგეობის თავმჯდომარე და ადგილობრივ რკინის გზის აღმასრულებელ კომიტეტის წევრი.

20) **აბულაძე რაჟდენ ქრისტეფორის ძე,** მასწავლებელი, პარტიული მომუშავე.

სამტრედიის კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პარტიისა.

ამიერ კავკასიის ყველა ს.-დ. პარტიულ ორგანიზაციებს.

ამხანაგებო! მეტად რთული მდგომარეობა წარმოიშვა დღეს რუსეთის რევოლიუციურ მოძრაობისათვის.

შინაურ არევ-დარევას, ეკონომიურ დაცემას, ფინანსიურ სიკოტრეს ზედ დაერთო ბურჟუაზიულ-ფეოდალური წრეების აჯანყება (კორნილოვის შეთქმულობა) მოპოვებულ თავისუფლების წინააღმდეგ, რაც ერთი-ორათ უფრო მძიმე მოვალეობას აკისრებს დემოკრატიას.

რევოლიუციური მოძრაობა ახალ ხანაში დგება. კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლა—აშკარა, დაუნდობელი, შეუპოვარი ბრძოლა დღიურ წესრიგში ისმება.

რევოლიუციის ავანგარდმა, მუშათა კლასმა და მისმა პარტიამ სოციალდემოკრატიამ უნდა პირველმა გასცეს პასუხი ამ საკითხს. მან უნდა იკისროს კვლავინდებურათ პოლიტიკური ხელმძღვანელობა ამ დიად და მეტად მძიმე ბრძოლის პირობებში.

კონტრ-რევოლიუციის ასალაგმავათ საჭიროა შესაფერი ტაქტიკის შემუშავება და საშუალებების გამონახვა, რომ ბურჟუაზიის სურვილის წინააღმდეგ და მის გარეშე დავიცვათ მოპოვებული უფლებები, გავაღრმავოთ რევოლიუცია და მივიყვანოთ ქვეყანა დამფუძნებელ კრებამდე.

და ეს რთული საკითხი უნდა გადასწყვიტოს პარტიულმა ყრილობამ.

მეორე უმთავრესი საკითხი, ეს დამფუძნებელი კრებისთვის მზადებაა.

ამ საკითხის ფრიად დიდმნიშვნელობას მტკიცება არ უნდა.

საარჩევნო კამპანიის მოწყობა, საარჩევნო პლატფორმის შემუშავება და დამტკიცება, ღირსეული კანდიდატების სიის შედგენა, ყველა ეს მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო კითხვებია, რომელთა გადაჭრა შეუძლია მხოლოდ საოლქო ყრილობას, როგორც ამიერ კავკასიის ყველა ორგანიზაციის ნებასურვილის უფლებამოსილ გამომხატველს.

ამიტომ საოლქო კომიტეტმა ამიერ კავკ. ორგანიზაციებისა რ. ს. დ. მ. პ. გადაწყვიტა:

მოიწვიოს საგანგებო პარტიული ყრილობა 30 სექტემბერს ამა წლისა თფილისში.

ყრილობაზე თანახმად პარტიულ წესდების მე-12 მუხლისა ყოველ 400 წევრზე უნდა გამოიგზავნოს თითო წარმომადგენელი. თავისთავად იგულისხმება, წვრილი ორგანიზაციები ერთდებიან და საერთოთ ირჩევენ 400 წევრზე თითო დელეგატს. მხოლოდ ის ორგანიზაციები, რომელთაც კომიტეტები ხელმძღვანელობენ, გზავნიან თითო დელეგატს, თუნდაც 400-ზე ნაკლები წევრი ყავდეთ (შენიშვნა მუხ. მე-12 პუნქტი წესდებისა.)

ამხანაგებო! ემზადეთ ყრილობისათვის! წინასწარ გაარკვიეთ და გადაჭრით ფართე პარტიულ წრეებში ყრილობაზე გადასაჭრელი კითხვები, რომ ამნაირათ ხელი შეუწყოთ ყრილობის ნაყოფიერ მუშაობას.

საოლქო კომიტეტი ამიერ კავკ. ორგ. რ. ს. დ. მუშ. პარ.

ზავის საკითხი ევროპაში.

ზავის საკითხი ყველგან დღიურ წესრიგში დაისვა. მოკავშირეთა სახელმწიფოების პარლამენტში, გერმანიის მთავრობის მიერ პაპის საპასუხო ნოტაში ზავზე ლაპარაკობენ და თითქოს მთელი ევროპის გაბატონებული კლასები მისი მომხრენი იყვნენ.

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში სოციალისტი ბრიუკე კითხულობს, თუ რა პასუხი უნდა გასცეს მთავრობამ პაპის ნოტასო და სურვილი გამოთქვა, რომ მან ვილსონის პასუხი გაიზიაროს გარდა ამისა სოციალისტებმა მოითხოვეს გამოქვეყნებულიყო საიდუმლო ხელშეკრულებანი და სხვა.

გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმმა მეორემ რომის პაპის სამშვიდობო ნოტაზე ვრცელი პასუხი გასცა და იმანაც თავის პასუხში ზავის ჩამოგდების სურვილი განაცხადა. ერთი სიტყვით, საერთაშორისო დემოკრატიის გარდა ზავის საკითხი გაბატონებული კლასების პარლამენტებშიაც წამოაყენეს და ყველანი მის გარშემო ახმაურდნენ.

მსოფლიო ომის გახანგრძლივებამ მთელი კაცობრიობა წარმოუდგენელ გასაჭირში ჩააყენა; მეომარ კოალიციების საწარმოვო ძალთა განვითარება შეჩერდა, ნაციონალური სიმდიდრის დაგროვება აღარ ხდება და მილიარდობით ხალხის ქონება და ცოცხალი ძალა უნაყოფოთ იკარგება.

ომის ასეთმა მსვლელობამ დაბოლოს მთელი კაცობრიობა კრეზიდან ლაზარეს მდგომარეობაში გადაისროლა და მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა წარმოუდგენელ სიდატაკეში ჩაგდო.

კაცობრიობას არ ახსოვს ასეთი ხარჯიანი და ეკონომიურ და სულიერ კულტურის დამღუპველი ომი, თვით ბურჟუაზიული კლასების სიმდიდრეც განსაცდელში ჩავარდა. მართალია, ზოგიერთი ბანკირებისა და ფინანსიური კაპიტალის ფულის რაოდენობა წარმოუდგენლათ გაიზარდა, მაგრამ მთელი სახალხო ეკონომია, საწარმოვო ძალთა გაუმჯობესება და განვითარება,—დაეცა.

ამ გარემოებამ კი წარმოშვა მცხოვრებთა უდიდესი ნაწილის ისედაც აუტანელი მდგომარეობის უფრო გაუარესება. განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში ჩააყენა ომმა რუსეთის დემოკრატია, რომელიც მთელი საუკუნის განმავლობაში არაჩვეულებრივ პოლიტიკურ და ეკონომიურ მონობას განიცდიდა.

აქ შეიქნა ისეთი ობიექტური პირობები, რომელმაც დემოკრატიის მედგარი ამოძრავება გამოიწვია და უკანასკნელმა ერთის დაკვრით სამუდამოთ დაამხო აბსოლიუტურ-მონარქიული სისტემა. ამ ათი თხუთმეტი წლის წინათ კარლ კაუცკი სწერდა: საგარეო ომები ნიადაგს უმზადებენ შინაური რევოლიუციის წარმოშობას; მომავალშიაც მოხდება ომი, რომელიც რუსეთის რევოლიუციონურ დემოკრატიას ნიკოლოზ მეორის ბატონობისაგან გაანთავისუფლებს და წმინდა დემოკრატიულ წყობილებას დაამყარებს.

კაუცკის ნათქვამი სისწორით გამართლდა და რუსეთის რევოლიუციონურმა დემოკრატიამ ძალა უფლება ხელში ჩაიგდო. უწინარეს ყოვლისა, მისმა რევოლიუციონურმა ორგანოებმა საერთაშორისო დემოკრატიის უანექსიო და უკონტრიბუციო, ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე აშენებულ ზავისაკენ მოუწოდა და მას პირველი დროს შესაფერათ გამოეხმაურა.

საერთაშორისო დემოკრატიის ზავის გარშემო ამოძრავება დროებით მინელდა, ვინაიდან საერთო ზავის მოციქულს, რუსეთის პროლეტარიატს, შინაური მტრები გამოუჩნდნენ და კონტრ-რევოლიუციონერები მის წინააღმდეგ ამხედრდნენ. ამ ხნის განმავლობაში ზავის საკითხიც დროებით მიყუჩდა და დასავლეთ ევროპის მეომარ სახელმწიფოების მთავრობებმა სოციალისტებს სტოკჰოლმის სამშვიდობო კონფერენციაზე წასასვლელი პასპორტების მიცემაზედაც უარი უთხრეს. მაგრამ მალე ობიექტური მდგომარეობა კვლავ დემოკრატიის სასარგებლოთ შეიცვალა. რუსეთის დემოკრატიამ კორნილოვის კონტრ რევოლიუციონური

საერთაშორისო ომი.

ჩრდილოეთ ფრონტზე, რიგის მიმართულებით, რუსის ჯარმა იერიშები მიიტანა და ერთი ვერსის მანძილით წინ წაიწია. ამ ბრძოლის დროს გერმანელებს დიდი ზარალი მოუვიდათ და ბრძოლის ველზე 400 ზე მეტი დახოცილი ჯარისკაცები დასტოვეს.

სამხრეთ დასავლეთისა და რუმინიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

მდგომარეობა უცვლელია აგრეთვე კავკასიის ფრონტზე.

საფრანგეთის ფრონტზე ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა. ბელგიის ფრონტზე, იპრის რაიონში, ინგლისის ჯარი მტრის იერიშებს იგერიებს და 7 სექტემბერს დაკავებულ პოზიციებს ინარჩუნებს.

იტალია ავსტრიის მთელ ფრონტზე საარტილერიო სროლაა.

გამოსულა დასამარხ და მთელი დემოკრატია მზათ არის სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება ხელში აიღოს.

ამ გარემოებამ მთელი ევროპის ბურჟუაზიულ მთავრობებს ძლიერ გაუფრთხო და რუსეთის „წითელ მამლის“ ყივილის შეეშინდათ. მათ კარგათ იციან, რომ რუსეთის დემოკრატია შესაფერ მიმდევრებს იქაც იპოვიდა და წითელი საფრთხე იმათაც მოევლინებოდა. უწინარეს ყოვლისა საერთაშორისო დემოკრატია დაუყონებლივ ზავის ჩამოგდებას მოითხოვდა და მით კაცობრიობას იხსნიდა იმ საშინელებისაგან, რომელიც მას იმპერიალისტურმა კლასებმა თავს დაატეხეს.

ბურჟუაზიული კლასები ახლა იძულებულნი გახდენ გამოსავალი ეპოვათ და საერთაშორისო დემოკრატიის წინაშე თავი ემართლებიათ, აილეს და მათ ზავის საკითხი წამოაყენეს და ამის გარშემო სამზადის შეუდგენ. განსაკუთრებით ინგლისი და საფრანგეთის ბურჟუაზიული კლასები ზავის გარშემო ლაპარაკობენ და ამის დამხედვით ზომებს ღებულობენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი ცდილობენ საერთო ზავის ჩამოგდება რუსეთის ტერიტორიის ხარჯზე მოახდინონ და დასავლეთის ტერიტორიები ხელშეუხლებელი დასტოვონ. მას შემდეგ, რაც რუსეთის ჯარმა ერთგვარი ბრძოლის უნარი დაკარგა და იგი ფრონტზე დამარცხდა, ევროპის მოკავშირეებმა ზავზე ლაპარაკი დაიწყეს და რუსეთის ტერიტორიის ხელშეუხლებლობა ანგარიშში აღარ მიიღეს. ევროპა, განსაკუთრებით ინგლისი, როგორც მარქსი ამბობდა საერთაშორისო პოლიტიკის დროს რუსეთს კისერს ატეხიებდა და ახლაც ამას უშვრება. მისი ზურგალენით, როგორც დეპეშები იუწყებენ საერთო ზავისათვის ემზადებიან, მაგრამ ისე კი, რომ მათ არაფერი დაკარგონ და რუსეთს რაც გინდა მოუვიდეს. მაგრამ რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია სოციალდემოკრატიულ. მენშევიკური ფრაქციის მეთაურობით საერთაშორისო დემოკრატიის მეოხებით უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის ჩამოგდებას მოითხოვდა. მხოლოდ დღეს თუ მას ევროპის მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობა ღალატობს, სწორეთ იმიტომ, რომ მან ასე თუ ისე ფრონტზე ბრძოლის უნარი დაკარგა. რომ ზევით დასახელებულ სახელმწიფოების ასეთი განზრახვა სისრულეში არ იქნეს მოყვანილი, რუსეთის ახალმა დემოკრატიულმა მთავრობამ ერთი მხრით დაუყონებლივ უკონტრიბუციო და უანექსიო ზავი ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე აშენებული მოითხოვოს და მეორე მხრივ ფრონტზე ბრძოლის უნარი გააძლიეროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი წმინდა დემოკრატიული ზავი კრახს განიცდის და ეს საზარალო იქნება, როგორც რუსეთის რევოლიუციისთვის ისე მთელი ევროპის დემოკრატიისათვის.

სიკვდილით დასჯის გარშემო.

რევოლიუციის ხანა გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის ხანაა. იგი ძალთა და იდეათა ძლიერ შეჯახ-შეტაკებას იწვევს. უმთავრესათ ასეთ ბრძოლას მიზნათ აქვს ძალთა განწყობილების თავის სასარგებლოთ გადახრა და ასე თავის მთავარ პოლიტიკურ-სოციალურ იდეალებისთვის განსახორციელებელ საშვალების მოპოვება. ამას ეწირება ყოველდღიური ლოზუნგები, ამას ემსახურება ყოველდღიური მუშაობა პარტიების თუ ჯგუფების.

ერთი ასეთი საკითხთაგანია—სიკვდილით დასჯის შემოღება ფრონტზე. იგი რევოლიუციის მსვლელობაში წარმოიშვა. მიმართული უპირველესათ ფრონტზე მოღალატეთა და გამცემთა წინააღმდეგ, იგი იმავე დროს დისციპლინის აღდგენის საშვალებით იქნა გამოცხადებული, რითაც ძველი რეჟიმის დაუცველ სარდლებსა და აფიცრების ხელში პოლიტიკური ბრძოლის, ჯარისკაცთა დატუქსვის იარაღათ გადაიქცა. დისციპლინის სახელით მან მთელი პოლკები კორნილოვს ჩაუგდო ხელში, რომლებითაც ამ უკანასკნელმა პეტროგრადისაკენ შესძლო გამოლაშქრება რევოლიუციის დასამხობათ. ამით აშკარა შეიქნა ამ ზომის უვარგისობა იმ სახით და ფორმით, რა სახითაც ის იქნა აღდგენილი და ხელში მიეცა ჯარის მეთაურთ.

იგი კონტრ-რევოლიუციონურ საშვალებათ იქცა. მაგრამ როცა ბოლშევიკები ამის წინააღმდეგ იბრძოდენ, მათ მიზნათ ქონდათ ჯარისკაცების გულის მოგება და მათი მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებით ფრაქციული კაპიტალის შეძენა. ამავე მიზნით, ე. ი. სხვა ფრაქციებთან საბრძოლველათ უპირველესათ ყოვლისა მენშევიკების და ესერების შესარცხვენათ, წამოაყენეს მათ ეს საკითხი ტფილისის ქალაქის საბჭოში. მათ ეინტერესებოდათ, და ეს ვერც დამალეს, ამ ფრაქციების გამოაშკარავება, და არა თვით პოლიტიკური საქმიანობა.

მაგრამ გამოაშკარავეს მხოლოდ თავიანთი პოლიტიკური აზროვნების უძლურება.

მათ უნდათ სიკვდილით დასჯის გაუქმება, როცა მთავრობაში სხვები არიან, ხოლო მზათ არიან ამ წესის შემოსაღებათ, უკეთუ მთავრობა მათ ხელში გადავა.

ამგვარათ, პოლიტიკის ნაცვლათ წამოაყენეს ჰუტენტოტის მორალი.

სამაგიეროთ, ფედერალისტებმა, დაშნაკელებმა და სოც.-რევ. პრინციპიალურათ დაგმეს სიკვდილით დასჯა, თითქო ამ ჟამათ სისხლის სამართლის სასჯელთა დებულებას ვიმუშავებდით.

გუშინ ტერორის მქადაგებელნი, დღეს თოკის ნორმებს ეფარებიან სიკვდილის დასჯის გასაუქმებლათ, მაგრამ ვერც ერთმა ფრაქციამ ვერ შესძლო იგი ფრაქციულ საკითხიდან საერთო პოლიტიკურ საკითხათ გადაექცია დღევანდელ რევოლიუციაში. ეს მოახერხეს მხოლოდ ს. დ. მენშევიკებმა.

მათი აზრით, თუ ნორმალური კანონმდებლობაში არ უნდა ქონდეს ადგილი სიკვდილით დასჯას, თუ ის სრულიად გამოუსადეგარი და მაზარებელი ინსტიტუტია დისციპლინის აღსადგენათ, სამაგიეროთ, იგი აუცილებელია რევოლიუციურ პროცესში კონტრ-რევოლიუციონერთა შეიარაღებულ აჯანყების და შეთქმულთა მეთაურების წინააღმდეგ.

იგი აუცილებელია, როგორც საშვალება ამ გამწვავებულ ბრძოლის ხანაში თავისუფლების მტერთა ასალაგმავათ, მათი ბოროტი გეგმების ჩასაშლელათ, მათი ორგანიზაციული ქსელის ჩასაფუშათ.

დემოკრატიის ორგანიზაციული შეკავშირება ძლიერი იარაღია ყოველი კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. მაგრამ კონტრ-რევოლიუციაც ხომ ასეთსავე ორგანიზაციულ კავშირს ეყრდნობა, იგიც ამ ძალას ხმარობს და მისი ჩაშლით თვით კონტრ-რევოლიუციური შემოტევა სუსტდება.

რევოლიუცია მოქალაქობრივი ომია, რაგვარ გარეგნულ ფორმასაც არ უნდა ღებულობდეს ის. რევოლიუცია დუღილის საზოგადოებრივ ცხოვრების და ამ დუღილში უმციერესობა, კონტრ რევოლიუციონერთა მცირე ჯგუფები, ცდილობენ სწორეთ შეთქმულობით, მზაკვრულათ, ღალატით ჩასცენ ლახვარი დემოკრატიას და მისგან მოპოვებულ თავისუფლებას.

ტერორი, რეპრესიები ასეთ შემთხვევაში,—აუცილებელი ზომაა ამ ჯგუფების დასარღვევათ, რეპრესიები ვერას გააწყობენ მასსიურ მოძრაობასთან, აქ ასეთი ზომები მხოლოდ მასსას გააბრაზებენ. სამაგიეროთ, რეპრესიები იოლად დაასამარებენ ვიწრო წრეებს, რომელთაც მასსა არ უმაგრებს შეგნებულათ ზურგს.

ამიტომ რევოლიუციონურ ხანაში მკაცრი რეპრესიები შეთქმულთა წინააღმდეგ ერთი მთავარი იარაღთაგანია დემოკრატიის ხელში ავანტიურისტთა და თავზე ხელ აღებულ რეაქციონერთა ჯგუფების ასალაგმავათ. და ჩვენც ასეთ ზომებზე ხელს ვერ ავიღებთ. ეს ძიმე მოვალეობაა, რომელიც დემოკრატიას აწევს, არა ნაკლებ მძიმე, ვინემ სოციალისტების მიერ მთავრობაში ჩადგომა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, მაგრამ როცა ამას თხოულობს ინტერესი ხალხის, ინტერესი რევოლიუციის, დემოკრატია და მით უმეტეს მუშათა კლასი ვერ დაიხევს უკან ამ მძიმე ტვირთის წინაშე. იგი აზიდავს მასაც და ამით მთელ თავის ძალ ღონეს, მთელ თავის თავგანწირულებას მოახმარს რევოლიუციას სრული გამარჯვებით დაგვირგვინების საქმეს.

პრესა.

12 სექტემბრის ნომერში „სახალხო საქმე“ ეხება კავკასიის მართველობის საქმეს და აღიარებს, რომ ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა სრული უმოქმედობა გამოიჩინა; გაზეთს ვერ გაუგია, თუ რა არის მიზეზი ასეთ უმოქმედობის. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამის მიზეზია საგანგებო კომიტეტის თვით შემადგენლობა და პრინციპი, რომლის მიხედვითაც იგი იყო შედგენილი.

ნაციათა შორის დავამ ჩაყლაპა სოციალური საკითხები. ეს გამოეპარა ფედერალისტების ორგანოს ყურადღებას. ამიტომ, მისი აზრით, ნაციონალისტური პრინციპის შეცვლა დემოკრატიული ინტერნაციონალური პრინციპებით—ეს პირობებათა შეცვლაა და მეტი არაფერი. „ჩვენი რწმენით კავკასიის სარევოლიუციო ცენტრი სცდება“, ამბობს გაზეთი.

საბუთი? საბუთი ისაა, რომ საგანგებო კომიტეტი ყოველთვის რევოლიუციურ ცენტრებთან თანხმობით მოქმედებდა, მაგრამ ვერაფერს ცხოვრებაში ვერ ატარებდა იმავე ნაციონალისტური ქიშპობის წყალობით, რომელიც მისი ორგანიზაციის საფუძველში იყო ჩამარხული.

ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, ბ-ნნო ფედერალისტებო, რომ ნაციონალიზმი უძლურია დემოკრატიული რეფორმები გაატაროს მაშინაც კი, როცა იგი ამას სრულ თანხმობას აცხადებს.

ეს კარგათ უნდა დაიხსომოთ.

აი, ამან დაბადა საჭიროება ერთა ტერიტორიების გამიჯვნის და ეროვნულ ფარგლების შექმნის. მაგრამ ამანვე გამოააშკარავა, რომ ეს კითხვა იდე მთავარი—„რომელსაც ნაციონალისტები დაუსრულებლათ აჭიანურებენ, და ამ კითხვის გადაჭრის დასაჩქარებლათ საჭიროა დემოკრატიის ძლიერი ხელის ამუშავება.

ეროვნებათა სოლიდარული გამიჯვნა შეუძლია მხოლოდ დემოკრატიულ ორგანოს, დემოკრატიულ ცენტრს. ეს ანბანია დემოკრატიზმის.

„სახ. საქმე“ კი სწორეთ ამას გმობს: „კავკასიის სარევოლიუციო ცენტრს დაუჯერია კავკასიის სარევოლიუციო კომიტეტის შედგენა ერთი ნაციონალური პრინციპი უარყოფილი იყოსო, უარყვეს ის პრინციპი, რომლის მიხედვითაც იყო შედგენილი ახლანდელი კომიტეტი. დრ. მთავრობამ საჯაროთ დაიწყა ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტში ხმა ქონდათ კავკასიელ ერების წარმომადგენლებს. ეს სუსტი პოლიტიკა იყო. ახლა ამასაც უარყოფენ, მაგრამ რას გვაძლევენ სამაგიეროს? არაფერს, სრულიად არაფერს. ჩვენ ვფიქრობთ რომ ამით საქმე არ გაკეთდება“.

„სახ. საქმეს“ დემოკრატიული მთავრობა არ მოსწონს არარაობათ მიაჩნია. ეს „დემოკრატიის სახელით მოფიცარი გაზეთი“ თხოულობს პირიქით, ნაციონალისტური პრინციპის გაძლიერებას. იგი მოითხოვს ამიერ კავკასიის მართველობის დარღვევას და ცალ ცალკე ეროვნებათა ერთეულების გამოყოფას, მაგრამ ვინ უნდა გააკეთოს ეს? ნაციონალისტთა შეთანხმებამ?

ეს გზა იყო დღემდე და უნაყოფო გამოდგა. ცხადია, ეს საქმეც თვით დემოკრატიამ უნდა იკისროს.

ამის გარდა უარყოფა კავკასიის ყოველგვარ საერთო ინტერესებისა შეიძლება მხოლოდ ნაციონალისტური ქონიანობით და არა რეალურ ინტერესების მიხედვით.

დემოკრატიის პრინციპი ყველა ერის დემოკრატიის გაერთიანების, რომელიც თავდებია რევოლიუციური ძალთა გაძლიერების და ასე, რევოლიუციის გამარჯვების,—თხოულობს სწორეთ წინააღმდეგს.

ამიტომ ჩვენ უარვყოფთ ნაციონალისტურ პრინციპის გატარებას ამიერ კავკასიის მართველობაში და მოვითხოვთ მას საერთაშორისო დემოკრატიის მოთხოვნილების თანახმათ შეცვლას.

ვინც წინააღმდეგია ამისა ის დემოკრატობის სახელს ტყვილა ნუ ეპოტინება.

დეპეშები.

(პ. ტ. ს.)

12 სექტემბერი.

ყაზახთა ჯარების წრის ყრილობა.

ნოვოჩერკასკი. ყაზახთა ჯარების წრის ყრილობაზე მივიდენ მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელნი სკობელევი, მაზურენკო, სუხოვი, ტესლენკო და სხვები. მათ განუსაზღვრელი დრო მისცეს სალაპარაკოთ. მაზურენკომ თავის სიტყვაში სხვათა შორის განაცხადა, რომ როგორც ჯარს ისე ყაზახობას სწყურია დისციპლინის განმტკიცება. შემდეგ ის შეეხო თებერვლის და ივლისის ამბებს და აღნიშნა, რომ თვითმპყრობელობასთან და ზოგიერთ ჯგუფებთან ბრძოლას თან მოჰყვა წარმოების დეზორგანიზაცია. ქვეყანას შიმშილი მოელის. დეპუტატთა საბჭომ დიდი ენერგია დახარჯა საქმის მოსაგვარებლათ. ის იყო ერთ საქმეს მოარჩენ, რომ კორნილოვმა წამოჰყო თავი. (ხმები „კალედინი“, მაზურენკო განაგრძობს) გენერალი კალედინი პასუხს მისცემს სასამართლოს (ხმები: „ის ექვემდებარება წრის სასამართლოს და უკვე გამართლდა“) მაზურენკო აცხადებს, რომ ის არ იზიარებს წრის აზრს. უკეთუ ატამანს წრის შესახებ ჩაედინა რაიმე დანაშაული მას გაასამართლებდა წრე, ხოლო უკეთუ მან სახელმწიფოებრივი დანაშაული ჩაიდინა ის უნდა გაასამართლოს მთელი ქვეყნის სასამართლომ. სკობელევი მიესალმა ყაზახებს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალ. აღმასრულებელ კომიტეტის სახელით. როცა მან კორნილოვს უწოდა მოღალატე, რომელიც უნდა გაასამართლონ გაისმა ხმები „საბუთები“! სასამართლო გაარჩევს მოღალატეა ის თუ არა—განაგრძო სკობელევმა—რევოლიუციონურმა დემოკრატიამ უკვე მსჯავრი დასდო კორნილოვშჩინას და კმაყოფილია, რომ არ გამართლდა ის რასაც ამბობდენ დონის შესახებ. ჩვენ—როგორც თქვენ, უნდა ვეცადოთ შევქმნათ ძლიერი ავტორიტეტული მთავრობა მცხოვრებთა ყველა ელემენტებისაგან, (ხმები: „მხოლოდ ყაზახები არ მოიწვიეს“) კალედინის შესახებ სკობელევმა სთქვა, რომ დონის აჯანყების საქმე არაფერს წარმოადგენს. შემდეგ ყაზახები და კალედინი ეკითხებიან ორატორს საიდან შეიტყვეს დონის აჯანყების ამბავი. კალედინი აცხადებს, რომ მას ვერ აკმაყოფილებს ორატორის განმარტება. ყაზახები ტაშს უკრავენ. სკობელევი ამბობს: „ყაზახებო! თქვენ ნდობა გამოუცხადეთ თქვენს ატამანს, მაშ მის მოქმედებაში ვერავითარი ბოროტ-მოქმედება ვერ აღმოაჩინეთ (მქუხარე ტაში) ხორუჟენი მაკარენკომ განაცხადა: „მე როგორც თავისუფალ ყუბანის წარმომადგენელი კალედინის სახით ხელს ვუწვდი ძველ დონს. ყრილობა მას ოვაციას უმართავს.

ავსტრიის პასუხი პაპის ნოტაზე.

სტოკჰოლმი. რომის პაპის ნოტაზე, პასუხში ავსტრიის მთავრობა სიამოვნებით აღნიშნავს პაპის გამოსვლას და ამბობს, რომ საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარება შეიძლება მხოლოდ იმ პრინციპებით, რომლებიც ამ ნოტაშია წამოყენებული და იმედს აცხადებს, რომ მისი მოწინააღმდეგეებიც არ დააყოვნებენ დაიწყონ ზავის შესახებ მოლაპარაკება.

დეპუტატთა საბჭოს გაზეთის განცხადება.

პეტროგრადი. პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს გაზეთი „დეპუტატთა საბჭოს უწყება“ ეხება რა იმ საბუთებს აჯანყების შესახებ, რომლებიც გაზ. გამოაქვეყნეს, ამბობს, რომ ბურჟუაზიული გაზ. ცდილობენ დაამტკიცონ თითქო აჯანყება კი არა რაღაც გაუგებრობა მომხდა. არას ვიტყვით იმის შესახებ—ამბობს გაზეთი თითქოს კერენსკის მიეღოს მონაწილეობა კორნილოვთან მოლაპარაკებაში, რამაც ხელი შეუწყო აჯანყებას, კერენსკი თვით შესძლებს სიმართლის გამორკვევას, მხოლოდ გადაჭრით პროტესტს ვაცხადებთ, გადაეფარონ კორნილოვის ბოროტმოქმედებას. აშკარაა, რომ კორნილოვმა ბრძანება არა შეასრულა, უნდოდა ფრონტისათვის ჯარი მოეტაცა და პეტროგრადისაკენ წამოეყვანა, რომ დედაქალაქი ხელში ჩაეგდო, რადგან ბურჟუაზიული პრესა გრძნობს, რომ კორნილოვის შეთქმულობის გაქარწყლება და კერენსკის მონაწილეობა მათ ვერ მოახერხეს, ეხლა ცდილობენ ახალი საბუთები წამოაყენონ კორნილოვის გასამართლებლათ და ამტკიცებენ თითქო აჯანყება გენერლებმა და აფიცრებმა მოახდინეს. მართალია სასამართლო საბოლოოთ გამოარკვევს კორნილოვის საქმეს, მაგრამ მანამდე საჭიროა დროებითმა მთავრობამ გამოაქვეყნოს ფაქტები და მით საშვალება მოუსპოს ბურჟუაზიულ პრესას რევოლიუციონერ რუსეთის სათავეში მდგომ პირების წინააღმდეგ კამპანია დაიწყონ. ც. აღ. კომ. ბიურო საჭიროთ სცნობს წინადადება მისცეს დეპუტატთა საბჭოს ყოფილ წარმომადგენლების აქსენტიევს, სკობელევს და ჩერნოვს შეატყობინონ ცენ. აღ. კომ. ბიუროს რაც ფაქტები იციან ამ საქმის შესახებ.

ინგლისურ გაზეთების აზრი გერმანიის და ავსტრიის პასუხის შესახებ პაპის ნოტაზე.

ლონდონი. ინგლისური გაზეთები „პელ-მელ-გაზეტ“-ი „ივნინგ ნიუსი“ „სტენდარტი“ და „ვესტმინსტერ გაზეთი“ უკმაყოფილო არიან გერმანიის და ავსტრიის პასუხით პაპის ნოტაზე და ამბობენ, რომ იქ არავითარი კონკრეტიული აზრი არაა არც ბელგიისა და არც ელზას-ლოტარინგიის შესახებ და ამიტომ ასეთი პასუხი ვერც ერთ მოკავშირე სახელმწიფოს ვერ დააკმაყოფილებსო.

შაქრის მონოპოლია.

პეტროგრადი. ფინანსთა სამინისტრომ დროებით მთავრობას წარუდგინა შაქრის მონოპოლიის პროექტი; ამ პროექტით შაქრის ფხვნილს დაედება ფასი 32—50 მ. ხოლო რაფინადის 36—52 მ. ფუთზე. შაქარი გაიყიდება სახაზინო დუქნებში, კოოპერატივებში და ზოგიერთ კერძო დუქნებში, რომლებიც საკომისიოთ მიიღებენ გასაყიდათ.

საერთაშორისო კავშირის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილება.

სტოკჰოლმი. საერთაშორისო კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა მტკიცე ზავის მოსაპოვებლათ დაადგინა მოიწვიოს ბერნში 2 ოქტომბერს საერთაშორისო მოსამზადებელი კონფერენცია ერთა შორის მუდმივ კავშირის დასაარსებლათ და საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანად გადასაწყვეტად. კონფერენციაზე დღევანდელ ომის გათავების ზომებს არ შეეხებიან. მოწვეულია ასი წევრი. აირჩიეს 9 მოსამზადებელი კომისია. აღმასრულებელმა კომიტეტმა მიმართა მებრძოლ სახელმწიფოებს პასპორტები, მისცენ დელეგატებს.

ომის დეპეშები.

პეტროგრადი. 11 სექტემბერი. რიგის მიმართულებით, პსკოვის გზატკეცილის სამხრეთით, ჩვენმა ჯარმა იერიშები მიიტანა და სილზემნეკის ფრონტზე მტრის პოზიციები დაიკავა. ამავე დროს სპიტალი-ტიმერმანის ჩრდილო-აღმოსავლეთით ერთი ვერსის მანძილით წინ წავიწიეთ. აქ მტერს დიდი ზარალი მოუვიდა: მათ ბრძოლის ველზე 400 დახოცილი ჯარისკაცი დასტოვეს. წამოვიყვანეთ ტყვეები ხელთ ვიგდეთ 10 ტყვიისმფრქვეველი. ამ ბრძოლის დროს მსუბუქათ დაიჭრა გენერალი სოკოლოვი.

სამხრეთ დასავლეთისა და რუმინიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

კავკასიის ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

პარიზი. 9 სექტ. მდ. ენის ფრონტზე, სერნის რაიონში დროგამოშვებითი სროლაა. შამპანში, მეზონ-დე-შამპანში გერმანელებმა იერიშები მოიტანეს. ბოსეჟურში მტრის სანგრები დავაზიანეთ. მდ. მაასის ნაპირებთან საარტილერიო სროლაა.

პარიზი. 10 სექტემბ. მეზონ-დე-შამპანში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. კორნილიეს რაიონში საარტილერიო სროლამ მკაცრი ხასიათი მიიღო. მდ. მაასის ნაპირებთან კვლავ საარტილერიო სროლა სწარმოებს, ვევრეში გერმანელების იერიშები მოვიგერიეთ.

ლონდონი. 10 სექტემბერი. საფრანგეთის ფრონტზე—იპრის სამხრეთით ბრძოლა გრძელდება. აქ მტრის იერიშები მოვიგერიეთ, მათ ვერ მოახერხეს [illegible] დაკავება. დასახელებულ სოფლის სამხრეთით გერმანიის ჯარმა ჩვენს ჯარს ზოგიერთი ადგილები წაართვა.

ლონდონი. 10 სექტემბერი. საფრანგეთის ფრონტზე—ლანგემარკის ჩრდილოეთით მტერმა ხანგრძლივ საარტილერიო სროლის შემდეგ იერიშები მოიტანა, მაგრამ ჩვენ იმათი იერიშები მოვიგერიეთ. აქ ტყვეთ წამოვიყვანეთ 25 ჯარისკაცი. დანარჩენ ფრონტზე 7 სექტ. დაკავებულ პოზიციებს ვინარჩუნებთ.

რომი. 9 სექტ. მთელ ფრონტზე, განსაკუთრებით კორდევოლეს ზემო ნაწილებში, კოლის რაიონში საარტილერიო სროლაა. კარსოზე, გორიცის ჩრდილო-აღმოსავლეთით სამხედრო ტყვეები წამოვიყვანეთ.

საოლქო ყრილობა.

ამიერ კავკასიის რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციათა ყრილობა შესდგება თფილისში 30 სექტემბერს. ყრილობა გაიხსნება სახალხო სახლში შუადღის 12 საათზე.

დღის წესრიგი:

1) მიმდინარე მომენტი.
2) დამფუძნებელი კრების არჩევნები—ა) საარჩევნო პლატფორმა, ბ) სადეპუტატო კანდიდატების დასახელება.
3) საოლქო კომიტეტისა და საკონტროლო კომისიის წევრთა დამატებითი არჩევნები.

საოლქო კომიტეტი.

ახალი ამბები

სასურსათო საკითხი. კავკასიის სასურსათო კომიტეტი შუამდგომლობს სასურსათო საქმის სამინისტროს წინაშე, რათა ორჯერ გადიდებული მტკიცე ფასი ხორბლეულობაზე მიეცეს იმ პირებს, რომლებიც 1 ნოემბრამდე გადასცემენ ხორბლეულობას ხაზინას. 1 ნოემბრის შემდეგ კი, კომიტეტი სთხოვს, აღდგენილ იქნას ძველი ფასები. ასეთ პირობებში იმედი აქვთ, რომ სექტემბრისა და ოქტომბრის განმავლობაში გაძლიერდება პურის მიტანა რკინის გზის სადგურებზე და სასურსათო კომიტეტები შესძლებენ მთელი წლის საყოფი პური დაამზადონ.

◆ **სკოლების ნაციონალიზაციის გამო** ამიერ კავკასიის სამოსწავლო ოლქის კომისარიატი აცნობებს ყველა საშუალო სასწავლებლების დირექტორებს შეაჩერონ ბავშვების მიღება დაბალ და მოსამზადებელ კლასებში, სანამ სკოლების ნაციონალიზაციის საკითხი საბოლოოთ არ გადაიჭრება.

◆ **ნიხრი.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის დადგენილების თანახმათ, ახალი კომბოსტო ფუთი უნდა გაიყიდოს 1 მან. 80 კ.; ახალი ჭარხალი (ბურაკი)—2 მან. 50 კ.; სტაფილო—3 მ. 70 კ.; ხახვი—4 მ. 50 კ. ეს ნიხრი შედის ძალაში გაზეთში გამოცხადების დღიდან.

◆ **პურის მონოპოლია.** სასურსათო საქმის მინისტრი ატყობინებს ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს, რომ სახელმწიფო სასურსათო კომიტეტმა გადასწყვიტა ამიერ კავკასიაში პურის მონოპოლიის საკითხი, გამოურკვევლობის გამო, წინასწარ განხილულ იქნას ადგილობრივ.

◆ **მუშათა კომისია.** კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრმა გამოყო ცალკე კომისია, რომელიც წინასწარ გაარჩევს მუშათა საკითხებს და თავის მოხსენებას წარუდგენს ცენტრს.

◆ **სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგ. მმართველი წრე.** კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის სცენის მოყვარეთა მიერ არჩეული დროებით აღმასრულებელი ბიურო შეუდგა მუშაობას სეზონის გახსნისათვის. ბიუროს თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ბიქტორ ნინიძე; თავმჯდომარის ამხანაგათ სოსო რომანიშვილი, ხაზინადრათ კ. სალიაშვილი. ადმინისტრატიულ საქმეების ხელმძღვანელათ ივ. მინდიაშვილი, რეჟისორათ მოწვეულია კონსტ. შათირიშვილი. რეჟისორის თანაშემწეთ ამ. ალექსან. ზაქარიძე. შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა ხარჯთაღრიცხვა 1 იანვრამდის, სეზონის გახსნა დანიშნულია 17 სექტემბერს. სეზონის გასახსნელათ მზადდება იუშკევიჩის 4 მოქმედებიანი დრამა „მეფე“. ბიურომ დაადგინა მიიღოს ზომები სცენის მოყვარეთა წრის გასაფართოებლათ: ახალი სცენის მოყვარეთა ჩაწერა შეიძლება წრის ბინაზე, მიხეილის ქუჩა № 102, საღამოს 7 საათიდან ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა.

◆ **ქურდობა.** თფილისში ამ უკანასკნელ დღეებში ძლიერ გახშირდა ქურდობა,—ღამე არ გავა ისე, რომ რამდენიმე დუქანი ან ბინა არ გაძარცვონ.

◆ **მეორე რაიონის ხელის მომწერთა საყურადღებოთ.** რ. ს. დ. მ. პ. თფილისის ორგანიზაციის მე 2 რაიონის კოლექტივი აცხადებს გაზეთზე ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ გაზ. „ერთობა“ დაურიგდებათ ხელის მომწერლებს პირველ ოქტომბრიდან.

უკანასკნელი ფოსტა.

პეტროგრადის უმაღლეს სასწავლებლებში წელს სწავლა არ იქნება.

— მოელიან მთავრობის განმარტებას სავინკოვის და ფილონენკოს შესახებ, რომელთა მოღვაწეობას კორნილოვის შეთქმულობას უკავშირებენ. სავინკოვს და ფილონენკოს განცხადებით,—ჩვენ თავდაცვის კაბინეტის შედგენის მომხრენი ვიყავით და არა სამხედრო დიქტატურის მომხრენიო.

— კორნილოვის მომხრეებს პეტროგრადში აპატიმრებენ. პროვოკატორებმა 7 სექტემბერს ქალაქში ხმები გაავრცელეს, თითქოს 150 ათასი შეიარაღებული მუშა გამოსულიყოს ქალაქის სხვადასხვა უბნებში აჯანყების მოსახდენათ.

— რკინის გზის მოსამსახურეები,—ხელოსნები, მუშები და ორთქლმავალთა ბრიგადის მოსამსახურენი ჯამაგირების მომატებას მოითხოვენ. შრომის სამინისტროსთან საგანგებო კომისია შესდგა მოთხოვნათა განსახილველად.

— მოგილიოვში სასტუმრო „მეტროპოლის" შენობა სატუსაღოთ გადააქციეს. იქ არიან მოთავსებული კორნილოვი და მისი მიმდევარი გენერლები—ოფიცრები. კორნილოვის შიკრიკი ზავოიკო პეტროგრადში მიიყვანეს და ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ ციხეში გაგზავნეს. ზავოიკოს ფინანსთა მინისტრათ ნიშნავდა კორნილოვი.

◆ **საარჩევნო ფონდი**. შემოვიდა თფილისის რკ. გზ. დეპოში მომუშავე პარტიის წევრებისაგან დამფუძნებელ კრების საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ ამიერ კავკ. საოლქო კომიტეტის რ. ს. დ. მ. პ. კასაში 308 მან. 97 კ.

◆ **შეწირულება**. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შემოსწირეს ჯულფა-ბაქოს სამხედრო რკინის გზის სამმართველომ 4344 მ. 60 კ., ინჟინერ ტრესკინსკიმ 200 მ., ინჟინერ იაროშმა 150 მან.

— ნოე გ. სიხარულიძემ შემინაურის სოფლის სკოლას შესწირა 100 მანეთი.

◆ **თფილისის ხელის მომწერთა საყურადღებოთ**. კანტორა „განათლება" აცხადებს, ვისაც გაზ. „ერთობა" და „ბორბა" არ მიდის, თვითონ წაიღონ კანტორიდან, ან ფული უკანვე მიიღონ,

◆ **გაზეთების შეწყვეტა**. რადგანაც ფული არ გამოგზავნეს, დღეს უკანასკნელათ ეგზავნება გაზეთები სოხუმის აგენტს, საჭილამის კოოპერატივს და ზუგდიდის აგენტს.

კრებები და მიტინგები.

ხვალ მე-6 სავაჟო გიმნაზიაში (უდელნაია ქუჩა № 3) საღ. 7 საათზე შესდგება ამიერკავკასიის მარქსისტ მოწაფეთა კავშირის თფილისის კოლექტივის წევრთა კრება. განსარჩევია მრავალი საჭირბოროტო კითხვები. სთხოვენ ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ.

— ხვალ, სახალხო სახლში დილის 10 საათ. პეტროგრადის რ. ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციის ლექტორი ივ. ა. ბორისევსკი წაიკითხავს ლექციას. თემა: რევოლიუცია და კონტრ რევოლიუცია. მოქალაქეებს სთხოვენ მოვიდენ ლექციაზე.

— დღეს, დღის 12 ს. დანიშნულია მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის წევრთა კრება.

პროვინციის ქრონიკა.

ქ. ლანჩხუთი. 1 სექტემბერს შესდგა საგანგებო კრება ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციებისა. განსარჩევი იყო: პოლიტიკურ მომენტის დაფასება და კონტრ რევოლიუციონერთა აშკარა გამოსვლა კორნილოვის მეთაურობით. საკითხების გარკვევის შემდეგ კრებამ აუცილებელ საჭიროთ დაინახა გაერთიანება მთელი რევოლიუციონერ-დემოკრატიულ მასისა. ამ მიზნით კრებამ აირჩია 9 კაცისაგან შემდგარი კომიტეტი.

დ. მოლითი. აქ მეტად გავრცელებულია ლოთობა. მთვრალები ხშირად უწესოებას ჩადიან. აღმასრულებელმა კომიტეტმა სულ დაახურვინა სამიკიტნოები და ღვინის ვაჭრობის უფლება მარტო კოოპერატივს სასადილოს გადასცა; მაგრამ ლოთობა ვერც ამ ღონისძიებამ შეაჩერა.

ართვინი. ართვინის ნაწილის კომისრად აირჩიეს მასწავლებელი (დღეს სამხ. სამსახურში მყოფი) ამხ. ზარ. მეგრელიძე.

დ. ხაშური. 6 სექტემბერს გამოიარა აქ პლასტუნთა პოლკის 131 ეშელონმა აფიცრებით და მოსვლისთანავე სოფლებს მოედვნენ. ისინი დაიყვენ ჯგუფ ჯგუფათ, შეესიენ ბაღებს და ვენახებს, სად. მიხაილოვის ბაქნიდან მოიტაცეს მგზავრების „ბაგაჟი", მეცხვარეებს მოსტაცეს ცხვარი. ხაშურის რაიონის კომისარმა ჯარის-კაცების დახმარებით მაშინვე მიიღო ზომები და დიდის ვაი-ვაგლახით შესძლეს მათი მატარებლის გასტუმრება ბათუმისაკენ. იმ საღამოს იქნა მოწვეული საჩქარო კრება ხაშურის რაიონის ჯარისკაცების, მუშათა და გლეხთა შეერთებული საბჭოსი; რომელსაც დაესწრენ აფიცრებიც და იქონიეს რა მსჯელობა პლასტუნებისა და მათი აფიცრების მოქმედების შესახებ, ერთხმად დაადგინეს, ეცნობოს ეს ამბავი საჩქაროთ ცენტრს.

— საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტმა დაატყვევა სად. მიხაილოვის ყოფილი უფროსი ჟანდარმი იაჩენკო, რომელიც დამთვრალი შეეჯახა აღმას. კომიტეტს, დაუწყო ლანძღვა ახალ მთავრობას და ერთი ამხანაგის სიცემაც წაიწია. დატყვევებულმა პროვოკაციული წერილები დაუგზავნა ჯარისკაცებს და აფიცრებს. წერილს ასე ათავებდა: „ამხანაგებო! ქართველები სდევნიან რუსებს. მეც იმიტომ დამატყვევეს და აწამებენ, რომ რუსი ვარ, მიშველეთო". ეს წერილები კომიტეტს ჩაუვარდა ხელში. იაჩენკოს თფილისში გზავნიან.

— აღმასრულებელ კომიტეტის ინიციატივით აქ შესდგა ღალების მომწესრიგებელი კომისია, რომელმაც 2 სექტემბერს შეიმუშავა ღალების გადახდის წესი. საკითხის გამოსარკვევათ. მოწვეული იყვნენ როგორც მემამულეები, აგრეთვე მიწის მუშები.

უპურობა.

საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა შემდეგი მოწოდებით მიმართა სოფლის მუშებს:

ამხანაგებო მიწის მუშებო! დაეხმარეთ თქვენს რევოლიუციონურ მთავრობას თქვენს დაუხმარებლად ეს მთავრობა ვერ შეასრულებს თავის მოვალეობას, თუ თქვენ არ მიეცით პური ქალაქებსა და სოფლებს, აუცილებლად შიმშილი დაატყდება ხალხს, დაიწყება მღელვარება, უწესობა და ჩვენი სამშობლო დაიღუპება, წაგვერთმევა სანეტარო თავისუფლება.

რაც საშინელი ომი სწარმოებს, ამ სამი წლის განმავლობაში ჩრდილოეთი კავკასია გვაწვდიდა პურს. ამ პურით იკვებებოდით თქვენ, ამხანაგებო, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მოუსავლობა იყო. ეხლა ჩრდილო კავკასიის პური საჭიროა ჯარისთვის და რუსეთის შიდა გუბერნიებისათვის.

თფილისის გუბერნიის ქალაქებსა და სოფლებს უნდა უშველოთ თქვენ, მიწის მუშებო, რომელთაც გაქვთ მოჭარბებული პური, რომელთაც თავის ნახნავ ნათესიდან მცირე მოსავალი მაინც მოუვიდა.

მიჰყიდეთ თქვენი პური სარაიონო სასურსათო კომიტეტებს, კოოპერატივებს, რომელნიც თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის ხელმძღვანელობით მუშაობენ. კომიტეტი ცდილობს მიაწოდოს პური ქალაქსა და სოფლის მცხოვრებთ. კომიტეტივე ცდილობს მოგაწოდოთ თქვენ, სოფლის მუშებო, იაფ ფასიანი ფართალი და სამეურნეო იარაღები.

საქალაქო არჩევნები სამტრედიაში.

17 სექტემბერს დანიშნულია ქ. სამტრედიის საბჭოს არჩევნები. ქალაქი ერთ საარჩევნო ოლქათ არის აღნიშნული. ხმის მიცემის გასაადვილებლად საარჩევნო ყუთები დაიდგმება 5 ადგილას: 1) ილორის ორ კლასიან სასწავლებელში; 2) მაცხოვრის სამრევლო სკოლაში; 3) მელოურში, მიხეილ დიმიტრის ძე ხუჯუას სახლში; 4) სამტრ. საზოგადო კლუბის დარბაზში და 5) რკინის გზის კლუბში. აღნიშნულ ადგილებში, ვისაც სად უფრო ეხერხება, იქ მისცემს ხმას.

ჭიათურის საქალაქო არჩევნები.

მოახლოვდა საქალაქო არჩევნები და პარტიებსაც გამოცოცხლება დაეტყო, გაჩაღდა საარჩევნო კამპანია.

ჩვენი მოწინააღმდეგენი არაფერს არ ერიდებიან, ოღონდ კი რამდენიმე ხმა წაგვართვან. ამ მიზნით დადიან აქ-იქ ჯგუფ ჯგუფად, განსაკუთრებით, ქართველი კადეტები—ნაციონალ დემოკრატები, და ამომრჩევლებს ეუბნებიან: არ მისცეთ ხმა № 1-ს.

მათ სიებში კი, ყველა ჯურის ხალხს შეხვდებით, უფრო რეაქციონერებს, ვინემ უბრალო პროგრესისტებს, რომელთაც დღეს მოჰგონებიათ დემოკრატია, მისი ინტერესები და ეს აკერიათ ენაზე. დემოკრატიის ინტერესების დაცვას გვპირდება მეოთხე ნომერი—ეროვნულ დემოკრატების სია. გადავხედოთ მათ სიას. პირველ რიგში სდგას ინჟინერი ბ. პაპავა. ეს გახლავთ მილიონერი, მრეწველი, ქარხნის პატრონი. ახლა დემოკრატიის ინტერესების დამცველი. ვისაც ახსოვს 1913 წ. ჭიათურელი მუშების გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე, მას ეხსომება თუ როგორი იბრძოდა ბ. პაპავა მუშების წინააღმდეგ, რომ გაფიცვა ჩაეფუშა. მაშინ მას გვერდს უმშვენებდენ ქუთაისის გუბერნატორი, მაზრის უფროსი, საგანგებოთ მოწვეულნი მუშების წინააღმდეგ. ხომ გახსოვთ მაშინდელი მისი რეაქციონური გამოსვლები მთელი დემოკრატიის წინააღმდეგ?

ვინ არის მეორე კანდიდატი—ა. გამრეკელი? ეს გახლავთ ყოფილი მაზრის უფროსი ოზურგეთში, რომლის წარსულს კარგათ იცნობს გურიის მთელი დემოკრატია. ბ. პაპავაზე არა ნაკლები ცოდვები მიუძღვის ჭიათურის დემოკრატიის წინაშე მას. 1913 წლის გაფიცვებში ვის არ ახსოვს მისი მელა-კუდური ქცევა. ის მხურვალე მონაწილეობას იღებდა და მრეწველების აშკარა დამცველათ გამოდიოდა. ასეთივე ღირსების არიან დანარჩენი კანდიდატები მეოთხე ნომერ სიიდან, ამიტომ არც ერთი ხმა ამ სიას!..

თუმცა დღეს ჭიათურის წარმოება დაცემულია, დიდი უმეტესობა მუშებისა გაფანტულია დროებით სხვა ქალაქებში, მაგრამ ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, ყველა ამომრჩეველი, ვისაც ინტერესებს ჭიათურის ქალაქის თვითმართველობის ბედ-იღბალი, ხმას მისცემს № 1 სიას.

დაირაზმეთ ამომრჩევლნო და მხარი დაუჭირეთ ს. დ. სიას № 1.

ხრიკებში სხვებს არ ჩამორჩებიან კიდევ „ნოქრები" ს. ფედერ., რომლებიც ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ, რომ ს. დ. პრესტიჟი დასცენ. ფედერალისტებს ხომ კარგათ ვიცნობთ, კარგათ გვახსოვს მათი მოთხოვნანი—ოთხმოცდაათის წლის რეაქციონური ერობა „დანოსი" ევ. გეგეჭკორზე, ყუთების გადაბრუნება. ჭიათურის მუშების გაფიცვები და მათი გამოსვლები მუშების წინააღმდეგ განა ყველა მათ მოღვაწეობის ნიმუშს დაიტევს გაზეთის ფურცლები? ესენიც მოუწოდებენ: ჩვენ ჩაგვაბარეთ ჭიათურის დემოკრატიის ბედ-იღბალი.

არც ერთი ხმა № 3 სიას.

ხმა მიეცით იმ პარტიას, რომელიც ყოველთვის დემოკრატიის მოსარჩლეთ გამოდიოდა, რომლის სიას ამშვენებს ის ამხანაგები, რომლებიც თავისუფლებისთვის დაიტანჯნენ, იდევნებოდნენ, რომელთაც ციხეები და ცივი ქვეყნები იცნეს. ამ სიაში შეხვდებით თქვენ ზ. გურულს, კ. მოდებაძეს, ვაშაძეს, ანთელიძეს და ყველა სხვა ღირსეულ პირებს. დაირაზმეთ ყველანი და მხარი დაუჭირეთ ს. დ. მუშათა პარტიის № 1 სიას. ამით თქვენ ღირსეულ პასუხს გასცემთ ყველა ჯურის ნაციონალისტებს, ლაპე დემოკრატებს. მაშ ასე, მოქალაქენო, ხმა მიეცით ჩვენს სიას № 1.

ა. თ.

——

საქალაქო არჩევნების გეგმის შესამუშავებლათ 7 სექტემბერს შესდგა ჭიათურის რ. ს. დ. მ. პ. საარჩევნო კომისიის და ცენტრალური კომისიის წევრთა კრება. კრებას თავმჯდომარეობდა გ. ანთელიძე, რომელმაც მოკლე მოხსენება გააკეთა ცენტრალურ კომისიის სახელით.

ჭიათურა დაყოფილია უბნებათ. უბნებში არის დანიშნული აგიტატორთა კომისიები, ამ საუბნო კომისიებს ჰყავს ამორჩეული ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს დამოკიდებულება ცენტრალურ კომისიასთან.

კრებაზ, გამოირკვა რომ ერთი, უბნის კომისიას გაუგია კიდეც ვინ მოგვცემს ხმას და ვინ არის საეჭვო, ასეთივე მუშაობა სასურველათ სცნეს სხვა უბნებშიაც გადაწყდა გაიმართოს ერთი დიდი მიტინგი, სადაც ყველა პარტიების წარმომადგენლები ილაპარაკებენ.

ქალაქის საბჭოში.

(11 სექტემბრის სხდომა).

თავმჯდომარეობს ამხ. **ივანე გეგეჭკორი**. წაკითხულ და დამტკიცებულ იქნა წინა სხდომაზე მიღებული დადგენილებანი. თავმჯდომარე აცხადებს, რომ ი. ვექილოვმა (მუსულ.) უარი განაცხადა ხმოსნობაზე და სუხოვმა (ს.-რ.)—ქალაქის გამგეობის წევრობაზედ.

გამგეობის წევრი **გ. კონიევი** აკეთებს მოკლე მოხსენებას თფილისში დორპატის უნივერსიტეტის გადმოტანის შესახებ და სთხოვს საბჭოს, ნება დართოს გამგეობას იშუამდგომლოს სამინისტროს წინაშე ამ საკითხის შესახებ. საბჭომ მიიღო ეს წინადადება. **მ. აზატიანი** აცხადებს, რომ ჯარისკაცთა ცოლების დამხმარე კომიტეტიდან გავაძევეთ 4 მოსამსახურე, რომლებსაც ბრალდებათ ბოროტი მოქმედებანი.

ამის შემდეგ საბჭო გადადის სიკვდილით დასჯის საკითხზე.

მ. ტოროშელიძე (ბოლშ.) უსაყვედურებს მენშევიკებსა და ს.-რევოლიუციონერებს,—თქვენ განზრახ გააჭიანურეთ ამ საკითხის განხილვა, არ გინდოდათ ის გაგერჩიათ, ვინაიდან სიკვდილით დასჯის დაკანონებაში თვით თქვენმა მინისტრებმა მიიღეს მონაწილეობა. ჩვენ მოვითხოვთ სიკვდილით დასჯის გაუქმებას, მაგრამ იგი უნდა გამოეყენოთ კონტრ-რევოლიუციონერების წინააღმდეგ, ამისთვის კი საჭიროა მთელი ძალაუფლება ჩვენს ხელში გადმოვიდესო. **ა. ოგაჯანიანი** (დაშნაკცუტ.). ვერავითარი პრაქტიკული მოსაზრებით ვერ გაამართლებს სიკვდილით დასჯას, საჭიროა ვიშუამდგომლოთ დრ. მთავრობის წინაშე მისი გაუქმების შესახებ. **გ. გვაზავა** (ნ.-დ.). პრინციპიალურად არავის არ შეუძლია მხარი დაუჭიროს სიკვდილით დასჯას. პრაქტიკული მოსაზრებითაც ვერ აღწევს იგი მიზანს, სიკვდილით დასჯის შემოღებით უნდოდათ ვითომ ჯარში დისციპლინის აღდგენა, მაგრამ დისციპლინის განმტკიცება შეიძლება არა სიკვდილით დასჯით, არამედ ჯარებში ეროვნულ ნაწილების შედგენით. **მელიქ კარაკოზოვი** (კ.-დ.). სიკვდილით დასჯის საკითხი, ეს მიზანშეწონილობის საკითხია. თუ იგი მიზანს აღწევს დღეს, ომიანობის დროს, უნდა დავუჭიროთ მხარი. ჩვენ გვაინტერესებს არა თანამედროვეთა, არამედ ისტორიის მსჯავრი; ამიტომ, ჩვენ ვფიქრობთ აუცილებლათ უნდა დაისაჯონ სიკვდილით ისინი, ვინც ფრონტს სტოვებს. **ი. ხუმიანცოვი** (კ.-დ.). აცხადებს, რომ დეზერტირებისათვის აუცილებლათ საჭირო იყო სიკვდილით დასჯის შემოღება და შემოაქვს ასეთი წინადადება: უცხადებს რა დრ. მთავრობას ყველა მოქმედებაში სრულ ნდობას, საბჭო გადადის მორიგ საკითხებზე". **შ. მეხიშვილი** (ს.-ფედ.). მოითხოვს ი. სუმიონოვის წინადადება საკითხი ფართოდ განიხილოს საბჭომ, სიკვდილით დასჯა ვერავითარ პრაქტიკულ შედეგებს ვერ მიაღწევს; მე წინააღმდეგი ვარ კონტრ რევოლიუციონერების სიკვდილით დასჯისაც. კონტრ-რევოლიუციას ჩვენ ამით ვერ ჩავქრობთ. ერთად ერთი იარაღი მის წინააღმდეგ—ეს დემოკრატიის შეკავშირებაა. **ამხ. ალ. ლომთათიძე**. ბოლშევიკები ფიქრობენ, ვითომ ჩვენ განზრახ ვაჭიანურებდით საკითხის განხილვას. მათ კარგათ უნდა იცოდენ, რომ მოსკოვის მენშევიკებმა დიდი ხანია თავისი შეხედულება გამოსთქვეს სიკვდილით დასჯის საკითხის შესახებ, გაარჩია ეს საკითხი ახლახან შემდგარ ს. დ. ყრილობამაც. შემდეგ ორატორი მიუთითებს რა ფ. მახარაძის პირველ განცხადებაზე, ეკითხება თავმჯდომარეს: ეს კითხვა მარტო ფრონტისთვის არის წამოყენებული, თუ სრულიად რუსეთის ფარგლებშიო.

ეს კითხვა მახარაძემ მარტო ფრონტისთვის წამოაყენა (თავმჯდომარე კითხულობს შესაფერ ადგილს ოქმიდან), მაგრამ სასურველია რაც შეიძლება ფართოდ განვიხილოთ იგიო,—უპასუხებს თავმჯდომარე. ამ განმარტების შემდეგ ორატორი ფართოდ ეხება საკითხს და აღნიშნავს, რომ სიკვდილით დასჯამ ვერ შეიძლო და არც შეეძლო დისციპლინის განმტკიცებაო. ჯარის უფროსებმა იგი მოახვიეს თავზე დრ. მთავრობას. და რადგანაც სიკვდილით დასჯამ ვერ მიაღწია,—და ვერც მიაღწევდა—მიზანს, იგი უარყოფილ უნდა იქნას. მაგრამ რა უნდა უქნათ იმათ, ვინც განზრახ არღვევს ფრონტს და განსაცდელში აგდებს. როგორ უნდა ვებრძოლოთ მათ? ჩვენ ასეთ შემთხვევებში მომხრე ვართ სიკვდილით დასჯისა და უპირველეს ყოვლისა, უნდა დაისაჯოს კორნილოვი (ტაშისცემა). ჩვენ გვწამს, რომ ეს ვერ მოსპობს კონტრ-რევოლიუციას, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ძალზე არევ-დარევს კონტრ რევოლიუციონერთა რაზმებს. აქ ზოგიერთი მსჯელობს ნორმალურ პირობების მიხედვით, ჩვენ კი ანგარიში უნდა გავუწიოთ დღევანდელ მდგომარეობას და საჭირო დროს მივმართოთ სიკვდილით დასჯას. სიკვდილით დასჯა ფაქტიურათ მიმართული იყო ჯარის დემოკრატიზაციის წინააღმდეგ, ამიტომ იგი გაუქმებულ უნდა იქნას.

ამხ. რ. არსენიძე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ბოლშევიკები წინააღმდეგნი არიან ჯარისკაცის სიკვდილით დასჯის, ხოლო ამავე დროს მოითხოვენ გენერლების და ყველა კონტრ-რევოლიუციონერების დასჯას. ეს კი ნამდვილი დემაგოგიაა. ვთქვათ, ჯარისკაცი მოგვევლინა კონტრ-რევოლიუციონერის როლში: დასჯიან მას ბოლშევიკები სიკვდილით, თუ არა? ჩვენთვის დღეს არავითარი დაწერილი კანონები არ არსებობს, არის მხოლოდ რევოლიუციის კანონები და ეს კანონები მოითხოვენ ყველა კონტრ რევოლიუციონერთა სიკვდილით დასჯას. კორნილოვი უნდა დაისაჯოს სიკვდილით, რომ მან ხვალ კიდევ არ მოაწყოს კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლა. დაუყონებლივ უნდა დაისაჯონ ყველა, ვინც წინააღმდეგია რევოლიუციისა (ტაშისც.)

გ. ვეშაპელი. (ნ.—დ.) ამბობს, რომ სანამ არსებობს სახელმწიფო, სანამ იგი იცავს თავს ისეთ ზომებით, როგორიც ომია, სიკვდილით დასჯაც იარსებებს. ჩვენ ვდგავართ სახელმწიფოებრივ თვალსაზრისზე და ამიტომ მხარს ვუჭერთ სიკვდილით დასჯას.

თარხანოვი (ს.—რ.) მომხრეა სავსებით, ყველასათვის მოსპობილი იქნას სიკვდილით დასჯა. **ფ. მახარაძის** საპასუხო სიტყვის შემდეგ **გ. გეპშტეინი** (ს.-დ.) ერთი ჯგუფის სახელით აცხადებს, რომ ისინი მოითხოვენ სიკვდილით დასჯის სავსებით გაუქმებას, მაგრამ პარტიული დისციპლინის მთლიანობისთვის მაინც მისცემენ ხმას მენშევიკების რეზოლიუციას.

საკუთარი რეზოლიუცია წამოაყენეს ბოლშევიკებმა, მენშევიკებმა, ს.—რ., დაშნ. და ს.-ფედერალისტებმა. ს. რ.-ები, დაშნ.-ბი და ს.-ფედერალისტი მეხიშვილი თავის რეზოლიუციაში მოითხოვდენ სიკვდილით დასჯის სავსებით გაუქმებას. ე. ი. კონტრ-რევოლიუციონერების დასჯასაც უარყოფენ. 29 ხმით, 22 წინააღმდეგ მიღებულ იქნა მენშევიკების რეზოლიუცია (ს.-რ.-ებმა და დაშნაკელებმა წინააღმდეგ მისცეს ხმა, ბოლშევიკებმა თავი შეიკავეს) ფრაქციის სახელით ალ. ლომთათიძემ შეიტანა დამატება, რომელიც ეხება ფრონტზე სიკვდილით დასჯის გაუქმებას. რეზოლიუციას დამატებით ხმა მისცა მენშევიკების გარდა ერთმა მუსულმანმა. ბოლშევიკებმა თავი შეიკავეს. ამნაირათ, რეზოლიუციამ მიიღო 33 ხმა, 21 წინააღმდეგ, ხოლო 5 თავი შეიკავა.

რეზოლიუცია.

„საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრების ნორმალურ პირობებში ქალაქის საბჭო გადაჭრით უარყოფს სიკვდილით დასჯას, ვინაიდან ეს უკიდურესი ზომა ერთი იარაღთაგანია გაბატონებულ კლასთა ხელში დემოკრატიის წინააღმდეგ. დღევანდელი რევოლიუციის დროს დემოკრატია მთელი ძალ-ღონით უნდა შეეცადოს კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლათა ჩაქრობას და რესპუბლიკანური წყობილების გამტკიცებას.

ერთი ასეთი სასტიკი ზომათაგანი კონტრ-რევოლიუციონურ შეიარაღებულ გამოსვლების ხელმძღვანელთა წინააღმდეგ მიმართული, სიკვდილით დასჯაა, ვინაიდან ეს ზომა არევ-დარევას შეიტანს რესპუბლიკანურ წყობილების მტერთა რაზმებში. გამოდის რა აქედან, ქალაქის საბჭო მომხრეა უკვე აღიარებულ რევოლიუციონურ წყობილების წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლათა ყველა მომწყობისა და ხელმძღვანელების და ქვეყნის აშკარა მოღალატეების სიკვდილით დასჯისა. იღებს რა მხედველობაში, რომ სიკვდილით დასჯა ფრონტზე დრ. მთავრობამ შემოიღო მხოლოდ და მხოლოდ ჯარის უფროსების მოთხოვნებით, რომლებსაც უნდოდათ გამოეყენებინათ იგი, როგორც მძლავრი იარაღი ჯარის დემოკრატიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ რევოლიუციონური დისციპლინის შესაქმნელათ და განსამტკიცებლათ ეს ზომა გადაჭრით უნდა იქნას უარყოფილი და სცნობს რა, რომ ზემო მოყვანილ მოსაზრებებით ფრონტზე სიკვდილით დასჯის შემოღება არის აშკარა რეაქციონური ზომა,—თფილისის ქალაქის საბჭო მოითხოვს ფრონტზე მის გაუქმებას".

ქალაქის მილიციის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი **ფირუმოვი**. მილიციის უფროსს ამ საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენება წარუდგენია ქალაქის გამგეობაში. მილიციაში დღეს 830 კაცი ყოფილა. მილიციის უფროსის პროექტის თანახმად ეს რიცხვი გადიდებულ უნდა იქნას 1351 ამდე. უნდა მოემატოს მილიციონერებს ჯამაგირები. უმცროსს მილიციონერს უნდა მიეცეს 100 მ. მაგივრათ 150 მანეთი თვეში. ამ ხარჯების დაფარვას დღეს დასჭირდება 2,497,580 მან. მიღებულ იქნა გამგეობის წინადადება, მილიციის საკითხი გადაეცეს საგანგებო სამილიციო კომისიას, რომელმაც ორ კვირის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს მოხსენება. ჯამაგირების საკითხი გადაეცა ხარჯთ-აღრიცხვის კომისიას. კომისიაში არჩეულია: ასუშტროვი (ს.-დ.), ქიაზეროვი (ს. დ.), გეპშტეინი (ს.-დ.), შავერდოვი (ბოლშ.) და ზორიანი (დაშნ.)

ცენტ. კომ. დეპეშის თანახმად საბჭომ კიდევ აირჩია წარმომადგენელი დემოკრატიულ თათბირზე გასაგზავნათ. არჩეულია: მიკირტუმოვი (ს.-დ.), ნ. რუსია (ს. დ.), მილნიკოვი (ს.-რ.), ჯამალიანი (დაშნ.).

როცა ჩვენს კანდიდატებს უყრიდენ კენჭს, ბოლშევიკებმა თავი შეიკავეს, მიუხედავათ ამისა, ჩვენებმა ბევრმა მისცა ხმა ბოლშევიკების კანდიდატს, მაგრამ დაშნაკელებმა წინააღმდეგ მისცეს ხმა. ბოლშევიკების კანდიდატმა ამნაირათ მიიღო 18 თეთრი და 15 შავი მაშინ, როცა დაშნაკელების კანდიდატმა 18 თეთრი და 11 შავი. (მენშ. ნაწილმა წინააღმდეგ მისცა ხმა, ნაწილმა თავი შეიკავა).

ვენ—ხონ.

სოც.-დემ. პარტიაში.

გურიანთა (გურია). 3 სექტემბერს შესდგა რ. ს.-დ. მ. პ. გურიანთის რაიონული კოლექტივის კრება. ცენტრის წარმომადგენელმა გააკეთა მოხსენება. „იაჩეიკების" მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მუშაობა წესიერათ მიმდინარეობს, ახალი მიღებული პარტიის წევრები კოლექტივმა დაამტკიცა. სასოფლო კომიტეტებისა და კომისარის შესახებ გამოირკვა, რომ გურიანთის აღმასრულებელი კომიტეტი ვერ დგას თავის სიმაღლეზე, ვერ იკრიბებიან, ვერ გამოაქვთ განაჩენი და თუ გამოუტანიათ, ისიც ქაღალდზე დარჩენილა და ცხოვრებაში დღემდეც ვერ გაუტარებიათ, მრავალი საჭირბოროტო კითხვები გადაუჭრელი რჩება და სხვ. ამიტომ რაიონულმა კოლექტივმა დაადგინა მიეცეს წინადადება აღმასრულებელ კომიტეტს თავის მოქმედებაში მეტი სიფხიზლე გამოიჩინოს, ვინაიდან მას დიდი მოვალეობა აწევს კისერზე.

თ. ქ.

——

დ. ანაკლია. 29 აგვისტოს ადგილობრივი რ. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციის კომიტეტის მიერ დანიშნული იყო საჯარო ლექცია აგრარულ საკითხზე და შემდეგ კამათი; ლექტორად მოწვეული იყო ამხ. ა. ჩიქავა. შესდგა მრავალრიცხოვანი კრება, ამხ. ჩიქავამ აუხსნა კრებას მომენტი, შეეხო ქურდების თარეშს და მოსალოდნელ შიმშილობას და მოუწოდა კრებას საწინააღმდეგო ზომებისაკენ, აგრეთვე შეეხო ერობის და თვითმართველობის საკითხებს. ამის შემდეგ ილაპარაკა აგრარულ საკითხზე. გააცნო კრებას ყველა ჩვენში მოქმედი პარტიების პროგრამები. შეადარა ერთმანეთს მუნიციპალიზაცია და სოციალიზაცია. კრებამ ერთხმად მიიღო მიწის მუნიციპალიზაცია, სოციალიზაცია უარჰყო. სოც. რევოლ. სახელით სოციალიზაციაზე ილაპარაკა უჩაიშვილმა, მაგრამ სოციალიზაციას გასავალი არ დაურჩა. შემდეგ ომის და ზავის შესახებ ილაპარაკა ამხ. ჩიქავამ.

დ—შვილი.

მუშათა შორის.

ნოვოროსიისკი. რუსის სავაჭრო სანაოსნო საზოგადოების ნავთ სადგურზე ქართველთა ყოფილ არტელის მუშების საყურადღებოთ, ვაცხადებ, რომ ხსენებულ არტელის წევრთა რამდენიმე პირების დავალებით მიმდინარე წლის 20 აგვისტოს შევედი ზემოთ დასახელებულ სავაჭრო საზოგადოების კანტორაში და მოვსთხოვე აგენტს გაეცნო ჩემთვის სისწორით რაოდენობა როგორც ერთდროულათ შეტანილ საწინდრისა, აგრეთვე იმ პროცენტებისა, რომელნიც რჩებოდა ყოველ თვიურად 50 მანეთ საწინდარზე დამატების სახით 1912 წლის 22 მაისიდან 1914 წლის 16 ოქტომბრამდე ცოტაოდენი შენიშვნის შემდეგ აგენტმა ყურად იღო ჩემი თხოვნა და მიპასუხა შემდეგი: აღნიშნული დროის განმავლობაში ე. ი. 1912 წლის 22 მაისიდან 1914 წლის 16 ოქტომბრამდე ჩემს ხელში საწინდრის სახით იყო 3555 მანეთი საქმეზე მოხს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისას ამ თანხიდან არტელმა გაიტანა 500 მანეთი, ხოლო დანარჩენი 3055 მანეთი გავიდა „პრეტენზიებში“; რაიც მუშებთან დადებული ხელშეკრულების თანახმად კანონიერათ ჩაითვლება. ჩემ შეკითხვაზე, საიდან გაჩნდენ „პრეტენზიები“, როცა მას მუშები ყოველ თვიურად აძლევდნენ ნამუშევარი ფულებიდან-თქო მან მიპასუხა: არტელის დაშლის შემდეგ გამოჩნდათ; თავის თავად საგულისხმოა, გუბენის ყუმბარების დაშენის დროს უპატრონოთ მიტოვებულ საწყობებიდან დაკარგულ საქონელში სურთ უდანაშაულო მუშები გახადონ პასუხის მგებელნი და ასე, ურცხვათ ხელი დაარეცხიონ მთელ საწინდარზე, ასე რომ, ნებით არაფერს არ გამოსცემს ამ ფულიდან. საჭიროა საქმის რევოლიუციონურ სასამართლოსთვის გადაცემა, ხოლო საქმის ხელმძღვანელათ ან სოფლიდან უნდა გამოიგზავნოს კაცი, ანდა ადგილობრივათ იქნას ვინმე დასახელებული.

დასასრულ საყურადღებოთ ვაცხადებ, რომ გავრცელებული ხმები თითქოს ამ წერილში აღნიშნული არტელის რწმუნებულს, ელგუჯერ სირაძეს, საწინდარი გაეტანოს სიმართლეს მოკლებული აღმოჩნდა. ხ. ჯაში.

სტამბა სორაპანი. არ იქნა და არ მოეღო ბოლო სტამბაში ზოგიერთ ასოთ ამწყობების მიერ ზედმეტ მუშაობას. ძვალ-რბილში გამჯდარი აქვთ მუშაობის ხალისი. რამდენიც გინდა ელაპარაკო ასეთ ხალხს ზედმეტი მუშაობის მავნებლობაზე, მის გოგრას ვერაფერს შეასმენ, ამტვრებს ქვას და თავს შეუშვერს, უეჭველად მეტი უნდა ვიმუშავო, რას მიქვია თქვენი და თქვენი კავშირის მუქარაო. ასე მსჯელობდა ხოლმე „ხულიგანი“ და უამხანაგო ხალხი ნიკოლოზ მეორის დროს და ამასვე იმეორებენ ზოგიერთები დღესაც, რევოლიუციის დროს. მაგალითისთვის საკმარისია ავიღოთ სტამბა „სორაპანი“ მიხეილ გაჩეჩილაძისა. აქ ყველაზე მეტად არის განვითარებული ზედმეტი მუშაობა.

მიხა გაჩეჩილაძე დიდათ არის დახელოვნებული როგორც ხამი, ისე ძველი შეგნებული ასოთ-ამწყობების „ხელში ჩაგდებით“.

თვიურათ ადვილათ არ აიყვანს გამოცდილს და შეგნებულს მომუშავეს ბ-ნი მ. გაჩეჩილაძე. ან კი რისთვის აიყვანს თვიურათ შეგნებულ ასოთ-ამწყობს, როცა კარგათ იცის, რომ კიდევ მოიპოვებიან ისეთი ბნელი ასოთ ამწყობები, რომელნიც მის ანკესზე წამოეგებიან, დღიურათ და ნაჭრობით იმუშავებენ დაწყევლ ფასებში?

სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ზოგიერთმა ამხანაგმა დღესაც ვერ შეიგნეს თავიანთი ინტერესები. ამიტომ საჭიროა ჩვენი პროფ. კავშირის გამგეობა ასეთ მომუშავეებს და „ხაზეინებს“ მეტ ყურადღებას მიაქცევდეს.

ამის გარდა, სტამბა „სორაპანი“ დიდ ანტისანიტარულ მდგომარეობაში იმყოფება. შენობა რომ ყოვლად უვარგისია, ეს ყველამ იცის, ვისაც კი იქ საქმე ჰქონია და გაუვლია და ახლა შიგ უნდა მიაწვდინოთ თვალი და მაშინ დარწმუნდებით, თუ რა უსუფთაობა სუფევს იქ. „სტოროჟ“ არ იჯერს იმ იმედით, რომ იქნებ ხმა 20 მან. ვინმე ჩაიგდოს ხელში. ხელის დასაბანი რა არის, იმასაც კი არ ყიდულობს, რომ ამოიღნა მომუშავე ხალხმა (გაზეთებზე მომუშავენი რედაქციებს ყავთ ჯამაგირით აყვანილი) მუშაობის გათავების შემდეგ ხელები დაიბანონ.—თუ ეტყვი: რატომ ხელის დასაბანი არ არის ან რატომ არ ასუფთავებ აქაურობასო, თუ არ მოეწონს, სხვაგან ბიბრძანდიო, გიპასუხებს და ზურგს გიჩვენებს. კარგი პასუხია!

განა ზედმეტი იქნება, რომ ჩვენმა პროფ. კავშირის გამგეობამ ამაზე იღონოს რამე? ზედმეტი კი არა, აუცილებლათ საჭიროა კავშირმა თავის მხრიდან რამდენიმე კაცი გამოგზავნოს გაჩეჩილაძის სტამბაში და ყველაფერი დაწვრილებით გაიგოს. ტონი.

თფილისის ტრამვაი.

სწორედ უპატრონო დაწესებულებას წარმოადგენს ამ ჟამათ თფილისის ტრამვაი. მუშაობის რომელი დარგიც არ უნდა აიღოთ, ყველგან დაუდევრობა, ინტრიგები, ძველი ნათლიმამობა, შენ-ჩემობა და ათასი გაიძვერობაა გამეფებული. ვერსად ვერც ერთ დარგში, ვერ ნახავთ ისეთ მუშას, გინდ ხელოსანს ან სხვა მოსამსახურეს, რომელიც სერიოზული საზოგადო თვალსაზრისით უყურებდეს საქმეს. მაგალითისათვის ავიღოთ ტრამვაის „პარკში“ ხელოსანი მუშების „მოღვაწეობა“. თქვენ ვერ ნახავთ ვერც ერთ ხელოსანს, რომელსაც გული შესტკიოდეს ტრამვაიზე, ფიქრობდეს წარმოების დაცემის და ჩამოქვეითების წინააღმდეგ რაიმეს. დავიწყოთ ეგრეთ წოდებული მიმდინარე, ან გინდ გენერალური რემონტიდან. ამ დარგებში დახლოვებით 50 კაცი მუშაობს, რომლებისათვისაც არ არსებობს ქვეყანაზე არავითარი წმინდათა წმინდა, გარდა იმისა, რომ იმუშაონ ყალბათ, აკეთონ ისე, როგორც მათი სურვილია და არა ისე, როგორც წარმოებას მოუხდება, ოღონდ თვეში ნორმალური ოცდაათ დღის მაგიერ ოთხმოციდან ოთხმოცდა ათი დღის ჯამაგირი აიღონ.

გული გიკვდება ადამიანს, როდესაც ხედავ ასეთ ყოველდღიურ მოვლენას: მიმდინარე რემონტში ახლათ შეკეთებული ვაგონი ერთ მგზავრობას ვერ შემოუვლის, რომ მოადგება ისევ პარკის კარებს და მგზავრებს ქუჩაში გადმოყრიან და ვაგონს ისევ პარკში აჩერებენ. რა მოხდა, რა ამბავია.

გაფუჭდა! ეს ხომ ჩვენ წინდაწინ ვიცოდით, —ბრძანებენ „რემონტის“ გმირები.—დიდხანს საზოგინოთ ხომ არ გავიშვია? ასე რომ მოიქცეთ, მაშინ 80-ს და 90 დღეებს თვეში საიდან ჩავიჯიბავთო! ერთს კარგათ ვატმანსაც შეუტკურახებენ, თითქოს ამ უკანასკნელის ბრალი ყოფილიყოს ასე მალე რომ გაფუჭდა მათი ნახმარი, და შეუდგებიან ხელახლა თავიანთი წაუხდარი საქმის გამოკვლევას. ასეთი მაგალითები დღეში ათი, ხუთმეტი და ზოგჯერ მეტიც ხშირია, ვაგონი შეჰყავთ პარკში და როდის გამოვა სამუშაოთ, ეს ალაჰმა უწყის. ასევე ყალბათ და არა საკადრისათ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას „გენერალური რემონტის“ ხელოსნებიც.

გარეგან მტრის თვალის მოსაჭრელათ და შიგნიდგან მოყვრის გულის მოსაკლავათ შეღებავენ, შეალამაზებენ ვაგონს და დიდის ზარით და ზეიმით გამოუშვებენ სამუშაოთ. თან იუბილესაც გადაიხდიან, რომ ასეთი „შიკარნი“ ვაგონი გამოუშვეს „ლინიაში“. ერთიც ვნახოთ,—არ გასულა ორი სამი საათი, ეს ვაგონი მეორე ვაგონზე ჩამობმული შემოათრიეს პარკში. რა მოხდა? არაფერი, გარდა იმისა, რაც მუდამ ხდებოდა და ახლაც ხდება: ტალახით შეწებილი და შეკოწიწებული ვაგონი ერთი მძლავრათ დანჯღრევის შემდეგ, დაინგრა და ჩვენს გმირებს ხელახალი სადღესასწაულო საქმე გაუჩნდათ. როდესაც ხელოსნებს ასეთ არა პატრიოსან მოღვაწეობაზე მიუთითებენ (სახეში გვყავს უმრავლესობა ხელოსნებისა და არა მთელი). ასე გიპასუხებენ: რა დროს საზოგადო-სახელმწიფო ინტერესებზე ფიქრია. ასეთი ბედნიერი დრო დადგა და ახლა თუ არ ვისარგებლეთ და არ ჩავიჯიბეთ რაც შეიძლება ბლომათ, ასეთი დრო ცხოვრებაში მუდამ ხომ არ დაგვიდგება, თუ ტრამვაი დაიღუპება, ჩვენ რაში გვენაღვლება, თავშიაც ქვა უხლიათო და თან გიჩვენებენ ხელფასად აღებულ ათ-ათ თუმნიანებს და გახარებენ შემდეგი დამცინავი სიტყვებით: შენ ხომ ტუტუცი არა ხარ, განა ასეთ ფულის მოგების შემთხვევას კაცი ხელიდან გაუშვებსო? თუ შენ ბევრი გაქვს, შეგიძლია მოიშორო აქაურობას და ჩვენ ხელს ნუ გვიშლითო, ცოტა ჰკუიანათ იყავით ბევრს ნუ ყბედობთ, თორემ ჩვენ გიჩვენებთ როგორ უნდა საზოგადო საქმის დაცვაო. ეს ხდება არა მარტო ზემოხსენებულ დარგში, მიმდინარე და გენერალურ რემონტებში. სადაც გამოჩენილ გმირებათ ყალბი მუშაობისა ითვლებიან შემდეგი პირები: იაკოვლევი, ბუაძე, პაპიანცი, ძხელაძე და მრავალი სხვები.

ასეთივე მოვლენას ვხედავთ ნარდათ მომუშავეებში ხარატებში და ს ვებში, რომლებიც, თუ წინ არ უსწრებენ ზემოთ ჩამოთვლილ ვატმანებს, უკან არაფერში რჩებიან, აქ ისე აქვთ გამჯდარი ნარდათ მუშაობის სისტემა ძვალსა და რბილში, რომ თუ სხვაფრივ მუშაობა შეიძლება ვერ წარმოუდგენიათ, და რახან სახელი იცვის, ესენიც გვარიანათ „ითბობენ ხელებს“, ყველა ჩამოთვლილ მოვლენებს ბოლოს და ბოლოს მივყევართ იქითკენ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქალაქი დარჩება უტრამვაიოთ, თუ, რასაკვირველია, დიდხანს გაგრძელდა ასეთი მდგომარეობა.

რაც შეეხება ტრამვაის ადმინისტრაციას, რომელიც სათავეში უდგას წარმოებას, დიდი ხანია დაამტკიცა თავისი უძლურება და უნიჭობა ასეთ მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში. პირიქით, ჩვენ ვიცით, რომ ნარდათ მუშაობას და მრავალ სხვებს, რასაც საგრძნობი ზარალი მოაქვს წარმოებისათვის, თვით ტრამვაის ადმინისტრაცია უწყობს ხელს.

აი მოკლეთ ასეთია ის არევ-დარევა, უთაობა და უპატრონობა, რომელსაც დაღუპვისაკენ მიჰყავს ტრამვაი, ამიტომაც მივმართავთ დემოკრატიულ ქალაქის გამგეობას, ენერგიულად შეუდგეს ყოველივე ბოროტების ძირიან-ფესვიანათ ამოთხრას, რასაც კი ადგილი აქვს ტრამვაის ცხოვრებაში.

საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება, სანამ წარმოება მთლათ არ დაცემულა.

„ხაყორნიელი“.

ზინგერის მაღაზიაში.

სათლქო საინტენდანტოს სარეკვიზიციო კომისია 6 სექტემბერს გამოცხადდა ზინგერის მაღაზიაში, გოლოვინის პრ., 53, საკერავი მაშინების ჩამოსართმევათ. დაესწრნენ მაღაზიის გამგე გ. აზოვიანცი, ფირმის გამგე ი. ლევინი და ზინგერის მოსამსახურეთა კავშირის თავმჯდომარე ლ. კოჩაროვი. შეკითხვაზე ფირმის გამგემ ლევინმა ყალბი ცნობები მიაწოდა კომისიას და ბრალი დასდო მოსამსახურეთა კავშირის წევრებს, ვითომ მათ წაუღიათ საწყობის გასაღები და თითქოს მოსამსახურეებს არ უნდათ იმუშაონ ჯარის საჭიროებისათვის და ამიტომ იფიცებიანო. შემდეგი დაკითხვიდან გამოირკვა, რომ საწყობის გასაღები ყოველთვის აზოვიანცის ხელში ყოფილა, რომელმაც ოქმის შედგენის შემდეგ განაცხადა, რომ საჭირო მაშინები მაღაზიაში მოიპოვება, მაგრამ ფირმის გამგე ლევინი განზრახ მალავდა მათო. მოსამსახურეთა კავშირის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უკეთუ საინტენდანტო ეტყვის, ის მოიხმობს მუშებს მაშინების შესაკრებათ.

ფირმის გამგე ლევინი დაემუქრა მაღაზიის გამგე აზოვიანცს სამსახურიდან გაძევებით,—რატომ სწორი ცნობები მიეცი კომისიასო.

მიიღო რა მხედველობაში, რომ ლევინის მოქმედება დღეს უდრეკათ რეაქციონურია და რომ მან ცილი დასწამა მოსამსახურეებს, ვითომ მათ არ უნდოდეთ მუშაობა თავდაცვის საქმეზე, მოსამსახურეთა კავშირმა განაცხადა ეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში და მოითხოვა ლევინის პასუხის გებაში მიცემა, როგორც საზოგადოების და რევოლიუციისათვის მავნე პირის.

ზინგერის მოსამსახურეთა კავშირის თფილისის განყოფილება.

ჯარის-კაცთა წერილები.

ურმია (სპარსეთი). ქართველთა მსროლელი პოლკის მდგომარეობა ამ ორი წლის განმავლობაში აუწერელია. ამ პოლკისთვის არც შეცვლა არის, ტანსაცმელი ხომ სანატრელი შეიქნა. პოზიციაზე ჯარისკაცების დიდი უმრავლესობა ფეხ-შიშველია, რის გამო ავათმყოფობამ იჩინა თავი და დღე არ გაივლის, რომ რამდენიმე კაცი საავათმყოფოში არ გასტუმრონ. მაგრამ ყოველივე დაბრკოლებისა და აუტანელი პირობებისა ჯარისკაცები მაინც გმირულად იბრძვიან. მგონი, არ არის ისეთი გოლგოთები სპარსეთის ფრონტზე, სადაც ჩვენს ჯარისკაცებს სისხლი არ დაეღვაროთ. რევოლიუციის პირველ დღიდანვე ჩვენმა პოლკმა წააწერა თავის დროშაზე: ან სიკვდილი, ან სამუდამოთ გამარჯვება რუსეთის რევოლიუციისა. ამ ლოზუნგით დღესაც თავგანწირულათ იბრძვის ბრძოლის ველზე ის და მზათ არის პირველ დაძახილზედვე საბრძოლველად შინაგან მტერთანაც, რომ თავისუფლება შევინარჩუნოთ. ამხანაგებო ჯარისკაცებო! გავამაგროთ ფრონტი, ნუ ავყვებით უპასუხისმგებლო პირების სიტყვებს! დღევანდელი რუსეთის თავისუფლება თავზარსა სცემს ყველა ქვეყნის ბურჟუაზიას და მასთან ერთად მის დამქაშებს. ისინი ლამობენ თავისუფალი რუსეთის განადგურებას. მათ ხელს უწყობენ შინაური მტრები—კონტრ რევოლიუციონერები, რომლებიც თავზარდაცემულნი სოროებში იყვნენ მიმალულნი. დღეს იწყეს შეკავშირება და ათასნაირი ხრიკებით და ფარული აგიტაციის საშუალებით სურთ სახელი გაუტეხონ ჩვენს რევოლიუციონურ ორგანოებს—მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოებს და დროებითი რევოლიუციონურ მთავრობას და მით არევ-დარევა შეიტანონ ჯარში, გათიშონ ჩვენი ძალები და მერე ამუშაონ თავიანთი ბინძური ხელები. ჩვენი მოქალაქობრივი მოვალეობაა ყველა ამას ანგარიში გავუწიოთ და მედგრათ შევებრძოლოთ შეერთებული ძალით და მით ვაუწყოთ მთელს ქვეყნიერებას, რომ რუსეთის რევოლიუციონური დემოკრატია უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იბრძოლებს თავისუფლების განსამტკიცებლათ. მოახლოვდა ის დიდებული დღე, რასაც დიდი ხანია გულისცემით ელოდენ რუსეთის თავგანწირული მებრძოლნი: პროლეტარიატი და მრავალმილიონიანი გლეხობა. დამფუძნებელი კრების არჩევნებმა უნდა გადასწყვიტოს რუსეთის ბედ-იღბალი. საჭიროა მივაქციოთ ჯეროვანი ყურადღება ამ მოვლენას. ნუ აჰყვებით ლამაზ ლოზუნგებს და მოქარგულ სიტყვებს. დროა გამოვფხიზლდეთ და გავარჩიოთ თეთრი შავისაგან. ნუ დაივიწყებთ, რომ გათავდება ომი თუ არა, ჩვენ იგივე მუშები და გლეხები ვიქნებით. და მივაშურებთ ჩვენს მოძმეებს ქალაქის და სოფლის მუშებს და ხელიხელ ჩაკიდებული გავსწევთ მწყობრათ მომავალი ბრწყინვალე მიზნის მისაღწევათ,—სოციალიზმისაკენ. მაშ, ამოვუდგეთ გვერდში მუშათა კლასის მუდმივ დამცველს სოციალ-დემოკრატიას. მას ერთი წამსაც არ დაუშვია ძირს წითელი დროშა თავისუფლებისა და ენერგიულათ ებრძოდა ძველ დახავსებულ წესწყობილებას, რამაც შეიწირა ბევრი ნიჭიერი და ერთგული მუშაკნი. ჩვენ გვერდში უნდა ამოვუდგეთ ინტერნაციონალურ სოციალ-დემოკრატიას, რომელიც წინამძღოლია ყველა ქვეყნის ერთა სოლიდარობისა და მუდმივი დამცველი მუშათა კლასის ინტერესებისა. ის მედგრათ დაიცავს ჩვენს ინტერესებსაც. ძალა ერთობაშია და ჩვენც, ჯარისკაცები, დამცველი ბრწყინვალე თავისუფლებისა, მხარში ამოუდგეთ ჩვენს ჩაგრულ მოძმეებს და ხმა მივცეთ, როცა არჩევნები იქნება სოციალ-დემოკრატიულ სიას.

გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციონურ ჯარს!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

ჯარისკაცი ქართული მსროლელი პოლკისა ალექსანდრე კვერღელიძე.

მანგლისი. აქ მდგომი ჯარი დიასეულად შეეგება თავისუფლებას: მაშინვე შევადგინეთ პოლკის კომიტეტები, მაგრამ კომიტეტში ბევრი არასასურველი პირები გავიდნენ. გუშინდელმა მუშის სისხლის მტრებმა ნიღაბი ჩამოიფარეს და სოციალისტებათ მოგვევლინენ. ალერ გამოვაშკარავეთ მათი ვინაობა და შესაფერი მსჯავრი დავსდეთ. ჯარის კომიტეტის წევრებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ახლო-მახლო სოფლებში ორგანიზაციების მოწყობაში. რამდენ სოფელში მიმიხდა მოგზაურობა, ყველგან ჯარისკაცებს აღფრთოვანებით გვეგებებოდენ. გავიგეთ თუ არა, რომ რევოლიუციას საფრთხე მოელოდა, მაშინვე გავმართეთ მიტინგი მთელი მანგლისის რაიონისა. შეიკრიბა აუარებელი ხალხი. პირველად ბევრი მოელოდა კარგ სასიხარულო ცნობებს. წაკითხულ იქნა ყველა მიღებული დეპეშები, ორატორებმა ილაპარაკეს დღევანდელ მომენტზე, ახსნეს რომ თავისუფლება საფრთხეშია და უჩვენეს შესაფერი გზა შეკავშირებისა კონტრ რევოლიუციონერების წინააღმდეგ. ყველას სახეზე ეტყობოდა დაღვრემილობა. ამ დროს მოვიდენ თფილისის მაზრის კომისარი ასათიანი და ეპშტეინი, რომლების მოსვლამ დიდი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია ჯარში. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ილაპარაკეს ორივე ამხანაგებმა. იმათ გვაცნობეს კორნილოვის გამოსვლის ჩაშლა, რამაც გამოიწვია მქუხარე ტაში და „ურას“ ძახილი. მათმა მოსვლამ ჩვენი მწუხარება სასიხარულოთ შეცვალა. შემდეგ ილაპარაკა უბრალო ჯარისკაცმა კალიცეემა ს. დ., რომელმაც აღფრთოვანებაში მოიყვანა მსმენელები თავისი მჭერმეტყველური და შინაარსიანი სიტყვით.

ბოლოს ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია, სადაც დაგმეს კორნილოვის მოღალატური გამოსვლა, აღუთქვეს დროებითი მთავრობის მხარის დაჭერა და თუ საჭიროება მოითხოვს, პირველსავე დაძახილზე გამოვალთ თავისუფლების დასაცავათო, ასე თავდებოდა რეზოლიუცია.

ჯარისკაცი ნოე ნიკ. ტუღუში.

15 ივლისს, 1917 წ. დ. ლანჩხუთში შესდგა პარტიზანული რაზმის ჯარისკაცთა მიტინგი. მიტინგს დაესწრნენ ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა და ოზურგეთის აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენლები. მიტინგმა გაარჩია რაზმის ზოგიერთ ჯარისკაცთა თვითნებური საქციელი, რაიც გამოიხატა ლანჩხუთში მილიციონერებისათვის იარაღის აყრაში, ქურდობაში, და სხ. და დაადგინა: „დამნაშავე ჯარისკაცები, რომლებიც სახელს უტეხენ ხალხის თვალში პარტიზანულ რაზმს, მიცემულ იქნან პასუხის გებაში და უკიდურეს შემთხვევაში,—გაძევებულ იქნან რაზმიდან; ეცნობოს გურიის რ. ს.-დ. მ. პარტიის ცენტრის კომიტეტს, რომ მისი დადგენილება ამ საგნის შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება, თითქოს რაზმი საერთოდ ნაძირალებისაგან შესდგებოდეს. რაზმი შესდგება რევოლიუციონური ჯარის მოხალისეთაგან, რომ ეს რაზმი მიდის სასიკვდილოდ, რათა დაიცვას თავისუფალი რუსეთი და საერთოდ მას არავითარი უწესოება არ მოუხდენია, პირიქით,—რაზმის ორგანიზაციამ ყოველივე ზომები მიიღო, რათა ბოლო მოეღო ზოგიერთ ჯარისკაცთა შეუფერებელ გამოსვლასთვის და ასეთი პირების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც კი არის აღძრული; ეთხოვოს კომიტეტს, გადასინჯოს ამ საგნის შესახებ თავისი დადგენილება და ეს რეზოლიუციაც გაიგზავნოს გაზ. „ერთობაში“ დასაბეჭდათ, რომლის მე-91 ნომერში „რაზმის“ შესახებ წერილი იყო მოთავსებული ლანჩხუთიდან“.

მიტინგის თავმჯ. უფ. უნ.-ოფიც. კოპლატაძე.

პროვინციის ცხოვრება

სურამი. როგორც კი გავიგეთ კორნილოვის გამოსვლის ამბავი, ორგანიზაციამ შესაფერი ზომები მიიღო. შესდგა მრავალ-რიცხოვანი მიტინგი. პირველად ილაპარაკა კირილე ნინიძე. მან მოკლეთ და მკაფიოთ განმარტა თანამედროვე მომენტი, მიუთითა რევოლიუციის საშიშ მდგომარეობაზე, რომელსაც განიცდის რევოლიუცია დღეს კორნილოვის და სხვათა მოღალატეებისაგან. მოუწოდა მჭიდრო შეკავშირებისაკენ. შემდეგ ილაპარაკა რაფიელ ჩხაიძემ, რომელიც შემთხვევით დაესწრო მიტინგს. მან ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. ის შეეხო თანამედროვე მომენტის ყოველივე მხარეს, აღნიშნა მსხვილი მემამულეების და ბურჟუაზიის შეურიგებლობა რევოლიუციასთან და როგორც შედეგი ამ შეურიგებლობისა კორნილოვის მუხანათური გამოსვლა. შეეხო მოსკოვის თათბირს, რომელზედაც ნათლად გამოჩნდა ბურჟუაზიის სულისკვეთება რიაბუშინსკების სახით, რომელნიც მოითხოვდენ მუშათა, სალდათთა და გლეხთა საბჭოების გაუქმებას, მოითხოვდენ ჯარის კომიტეტების დაშლას ფრონტზე და სრულ დამორჩილებას ჯარისა და სიკვდილით დასჯის შემოღებას. გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: მრავალრიცხოვანი მიტინგი (მიტინგზე ორიათას კაცამდე დაესწრო), რომელიც შესდგა სურამში 3 სექტემბერს, მოითხოვს, რომ მთავრობამ სასტიკი ბრძოლა გაუწიოს თავისუფლების მტრებს—კონტრ-რევოლიუციონერებს და მოღალატენი სასტიკათ დასაჯოს; ყოველი ღონისძიებით ეცადოს ზავის დასაჩქარებლად; დამფუძნებელი კრების მოწვევა. ხალხმა ერთხმად მოიწონა ეს რეზოლიუცია და მოითხოვა გაგზავნილ იქნას თფილისის რევოლიუციონურ ცენტრის სახელზე.

ონის რაიონულმა კრებამ განიხილა მოქმედება ზვარეთის საზოგადოების კომისარის, ევგენი გოცირიძესი. სცნა დამნაშავეთ გოცირიძე იმაში, რომ მან საზოგადო კრებაზე არა საკადრისი სახელი უწოდა შეკრებილ ხალხს. იმავე გოცირიძემ უდანაშაულოთ შეურაცხყოფა მიაყენა ზვარეთის საზოგადოების აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ვასილ კორძახელიძეს. ამიტომ რაიონულმა კრებამ გოცირიძე გადააყენა კომისარობიდან, ვინაიდან საზოგადოების წინაშე ბოდიშის მოხდაზე მან უარი განაცხადა. ხელს აწერენ: კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები 5 კაცი.

ქუთაისში
ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე
იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდე
პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკის სახლში.

ქ. ქუთაისში.
ექიმი მ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, ბალახვანის ქ., ბაქრაძის სახლი.

მედიცინის დოქტორი
გ. გ. მებრაგიანცი
ჩამოვიდა & განაახლა ავათმყოფების მიღება. შინაგანი ავათმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სალინოიდი არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავათმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. ბებუთოვის ქუჩა № 28, ტელეფონი 7—92.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებიანთ
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.
ქუჩინოვის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] ტელეფ. 15—00.

ექიმი ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის“ პირდაპირ.

ქუთაისი
ექიმ გ. ი. გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავათმყოფთათვის, ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათამდე

ექიმი
დ. ი. ქორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სპეციალურათ ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—6 საათამდე გარდა საშაბათისა. ცხრის ქუჩა № 6 (დიდუბე)

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
დებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი & ელექტრიზაცია. ტიფლისური ქუჩა, № 4

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღეს 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიევის ქუჩა, № 19.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, საღ. 5—7 საათამდის. გუნიბის ქ. № 41.

Продолжается подписка на 1917 годъ на ежедневную газету
БОРЬБА
Органъ Закавк. Областного и Тифлисскаго Комитетовъ Россійской Соц.-демократической Рабочей Партіи.
Подписка городская принимается въ конторѣ „Ганатлеба“ (Ольгинская № 6. Телефонъ № 3—44), иногородная подписка принимается въ конторѣ редакціи Головинскій пр,, № 12. Деньги для подписки и корреспонденціи и статьи направлять по адресу: Тифлисъ, Головинскій пр. № 12 для редакціи «Борьба“.
Подписная плата въ мѣс. 2 рубля. Телеф. редакціи № 16—62.

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-დღიურ გაზეთ
„სოციალ-დემოკრატ“-ზე
გაზეთის ფასი: მთელი წლით—15 მან., ნახევარი წლით—8 მან., 3 თვით—4 მ. 20 კ., 1 თვით—1 მ. 40 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 7 კაპ. და საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი.
ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Кутаисъ, редакція „Соціал-демократъ“, Тутку Гварамія. სხვა ადრესით გამოგზავ. ფულს რედაქცია ვერ მიიღებს

სწრაფად-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა განაგის შესახვევი № 1.